ახალი განათლება

2011 წელი, 14 - 20 აპრილი

ფასი 1 ლარი

№15 (529) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

აი ია – ყველაზე ძალმოსილი შეღევრი ქართული ცნობიერების ისტორიაში



დიმიტრი ყიფიანის ნაქონი პირველი დედა ენა

1990 წლიდან 14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედ აღინიშნება, რასაც 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი მოვლენები დაედო საფუძვლად – საქართველოს მოსახლეობამ სწორედ ამ დღეს გააპროტესტა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. საპროტესტო აქციებმა მოიცვა საქართველო, ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისაგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას ითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა. ასე მოვიპოვეთ 14 აპრილი და დავამკვიდრეთ დედაენის დღეც.

მანამდე კი, ქართველთა გენიალურ პალინდრომზე – „აი ია“-ზე იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იზრუნა – პირველი საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალური, ზნეობრივი და პატრიოტული კრიტერიუმები დიდხანს არჩია. მის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც დედაენაზე მუშაობის პროცესს ასახავს – როგორ აზუსტებდა, ხვეწდა თითოეულ ნიუანსს, მეთოდს, ხერხს, სიტყვას მარტივიდან რთულისაკენ, როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული მოთხრობა თუ ლექსი. *„ჩვენი ანბანი იმგვარ სისტემაზე არის აგებული, რომ კარგად ცნობილი საგნების სურათების საშუალებით ადვილად სწავლობენ უცნობ ასოებს და ასეთ სისტემას ის ღირსება აქვს, რომ არამც თუ დიდი, პატარაც კი შეძლებს უმასწავლებლოდ შეითვისოს წიგნის ცოდნა, ამას სხვათაშორის მოწმობენ კორესპონდენტები სტამბულიდან, რომლებიც გვატყობინებენ, რომ „დედა ენა“ ძლიერ უადვილებთ ყველას თვითონ, სხვების დაუხმარებლად, ისწავლონ წერა-კითხვა“* – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ფონდში დაცული უნიკალური მასალა – დედაენის გამოცემების სრული სპექტრი – 13 აპრილს ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა და შთამბეჭდავმა ექსპოზიციამ, თითოეული სტენდით, რომელიც გამოცემებს ეკავა, დედაენის თითო საფეხურის, მისი განვითარებისა და ცვლილების შესახებ ქრონოლოგიურად მოგვითხრო.

გვერდი 4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრი, გამოსაშვები გამოცდების სრული ფორმატით მოდელირების მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, გენერალურ რეპეტიციას ატარებს. 326 სკოლის 14 ათასზე მეტი მეთორმეტეკლასელი, 12-დან 15 აპრილის ჩათვლით, საცდელ ტესტირებას 8 საგანში გაივლის. შედეგების მიხედვით დადგინდება ბარიერი. ამის შესახებ ინფორმაციას უახლოეს ნომერში მოგაწვდით. დღევანდელ ნომერში კი, გთავაზობთ იმ მეთორმეტეკლასელების მოსაზრებებს, რომლებმაც 2-9 აპრილს მიმდინარე პრეტესტში მიიღეს მონაწილეობა და საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადეს.

გვერდი 5

VII–XII კლასის მოსწავლეთა საყურადღებოდ!

„ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები გიწვევთ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა V საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც **გაიმართება 2011 წლის 13-15 მაისს, ქალაქ თბილისში.** მასში მონაწილეობას მიიღებს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 45 ქვეყანა. საქართველოდან ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საერთაშორისო ოლიმპიადის I ეტაპზე, რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულებს.

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური ტური ჩატარდება ქუთაისში, **2011 წლის 30 აპრილს**. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ინფორმატიკისა და ეკოლოგიის, აგრეთვე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროებში მომზადებული პროექტი (სასურველია, ხელსაწყოსთან ერთად).

მონაწილეობის მსურველებმა შეავსეთ ანკეტა. შევსებული ანკეტები და რეზიუმე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შემდეგ E-mail-ზე iyipo@iyipo.ge ან iyipo2010@gmail.com

გთხოვთ, ნაშრომი წარმოადგინოთ 2011 წლის 28 აპრილამდე, შემდეგ მისამართებზე:

- თბილისი, გრიშაშვილის 51, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ტელ: 75 24 58, 75 44 94;
- ბათუმი, რ. შაჰინის სახელობის მეგობროობის ლიცეუმი, ბაგრატიონის ქ. №117, ტელ: 4 41 09;
- ქუთაისი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, ირ. აბაშიძის 22ა, ტელ.: 7 05 28;
- რუსთავი, რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, რუსთავის გზატკეცილი 22-ე კმ., ტელ.: 824 18 04 90.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შემდეგ ინტერნეტმისამართზე www.iyipo.ge

მიეცით ნიჭსა გზა ფართო

ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ტრადიციულად, ტარდება ოლიმპიადები, კონფერენციები, საერთო საგნობრივი ტესტირებები და სხვადასხვა კონკურსები. ამ აქტივობაში მონაწილეობენ საქართველოში ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დაარსებული სკოლების მოსწავლეები.

2011 წლის 5 მარტს ჩატარდა მათემატიკის ოლიმპიადა ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემავალი სკოლების მოსწავლეთათვის. ბავშვები დიდი ინტერესითა და მონდომებით ჩაერთვნენ ოლიმპიადაში. შედგა საოლიმპიადო ჯგუფი თბილისის სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ და ქუთაისის ნ. ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებისაგან:

1. მარიამ ნაცვლიშვილი;
2. ლადო აბრამალაძე;
3. რატი ფორჩხიძე;
4. ანა როხვაძე;
5. მარიამ ერაძე;
6. გვანცა გეგუჩაძე;
7. ნიკა სვანიძე;
8. ზურაბ ხარიშვილი.

გამარჯვებული მოსწავლეები გაემგზავრნენ სტამბულში, მათემატიკის XII საერთაშორისო ოლიმპიადაში, სახელწოდებით COŞMAYA, მონაწილეობის მისაღებად. სტამბულში წარგზავნილმა მოსწავლეებმა ამ ოლიმპიადაზეც მიაღწიეს წარმატებას, მოიპოვეს: 2 ოქროს, 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

მათემატიკის ოლიმპიადაში მონაწილეობას, გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოამჟღავნოს ცოდნა, მოიპოვოს წარმატება, სხვა მრავალი დადებითი მხარეც აქვს – ქართველი მოსწავლეები სტამბულში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ თანატოლებს დაუმეგობრდნენ, ერთად დაათვალიერეს სტამბულის ღირსშესანიშნაობანი, მოეწყო საექსკურსიო ტურები.

ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მათემატიკისადმი, როგორც მათ მიერ დაარსებულ სკოლებში, ასევე საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნით, ა.წ. 26 მარტს, ჩატარდა მათემატიკის II რესპუბლიკური ოლიმპიადა. ოლიმპიადის ობიექტურად ჩატარების მიზნით, ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემავალი სკოლების მოსწავლეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

შედეგები შეგიძლიათ იხილოთ
სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ვებგვერდზე – www sxivi.ge

პირველი ხუთეული დაჯილდოვდება სხვადასხვა პრიზით:
I ადგილი – ნოუთბუქი;
II ადგილი – ველოსიპედი;
III ადგილი – ფოტოაპარატი;
IV და V ადგილი – MP4.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

გამოვიდა წიგნი დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება

I ნაწილი: ქართული ენის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის თეორიული საკითხები;
II ნაწილი: საგამოცდო ტესტური ნიმუშების მსგავსი ტესტები პასუხებით;
III ნაწილი: დაწყებით კლასებში გამოყენებული მეთოდიკის ანთოლოგია.

წიგნზე მუშაობდნენ: სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები, განათლების ექსპერტები და განათლების ფსიქოლოგები.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „უსტარის“ მიერ
მისი შეძენა შეგიძლიათ სადისტრიბუციო კომპანიის „NGM Group“ ოფისში
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის 119, ტელ: 96 40 81; 890 96 40 82.

ინფორმაცია

სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის მერიის მთავარი ბიბლიოთეკა ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს „ვიკითხოთ წიგნები“. პროექტის ფარგლებში, დედაქალაქის ბიბლიოთეკებში, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები IV-V-კლასელებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს უკითხავენ. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** დაესწრო.

9 აპრილს, თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში, 24-ე და 30-ე საჯარო სკოლების 30-მდე მოსწავლეს მომავალი მსახიობი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხეკურსელი **ლაშა გურგენიძე** შეხვდა. მან მოსწავლეებს ამ დღესთან დაკავშირებულ – 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებზე უამბო და საქართველოს ისტორიიდან ის ეპიზოდები გააცნო, სადაც კარგად ჩანს ქართველი ხალხის ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ამ დღეს ანალოგიური შეხვედრები IV-V-კლასელებთან თბილისის კიდევ 5 ბიბლიოთეკაში გაიმართა.

პროექტის „ვიკითხოთ წიგნები“ მიზანია მოსწავლეებში წიგნის პოპულარიზაცია და კითხვის კულტურის დამკვიდრება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას და კითხვის ჩვევის გამომუშავებას. ამ მიზნით, ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგებულ მერიის ბიბლიოთეკებში კითხვის მოყვარულთა წრეები ჩამოყალიბდა, სადაც მოსწავლეებთან შეხვედრები იმართება. მათი შერჩევა ბიბლიოთეკების მიმდებარე სკოლებიდან ხდება, წასაკითხი მხატვრული ლიტერატურა კი, ფილოლოგების, ლიტერატორების, სკოლის პედაგოგებისა და ბავშვთა ფსიქოლოგის კონსულტაციების გათვალისწინებით შეირჩა.

იუბილე

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი

შალვა ამონაშვილი 80 წლისაა

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში პედაგოგიური მეცნიერების ცის კაბადონზე ახალი, მანამდე უცნობი ვარკვლავი გამოჩნდა. იგი მაშინვე შეამჩნიეს მსოფლიოში ცნობილმა პედაგოგიურმა ობსერვატორიებმა და სახელიც მიანიჭეს – „ნოვატორი“.

ახალი ვარსკვლავი მხოლოდ ერთადერთ ტელესკოპში არ ჩანდა. ეს ტელესკოპი თბილისში ეპყრათ ხელთ პედაგოგიკის ასტრონომებს. ორი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა ამას: ან ვარსკვლავი იყო ძალიან ახლოს, ან ოპტიკურ ლინზებს სჭირდებოდა შეცვლა. მე ვფიქრობ, უფრო სარწმუნო პირველი მიზეზი გახლდათ.

ახლა იმ ვარსკვლავს, პედაგოგიური ცის კაბადონზე რომ გამობრწყინდა და ყველა ტელესკოპში, მათ შორის თბილისურშიც, კარგად მოჩანს, **შალვა ამონაშვილი** ჰქვია.

იშვიათად რგებია მეცნიერთაგან ვინმეს, ერთსა და იმავე დროს ესოდენი აღიარებაც და უარყოფაც, ქებაც და ძაგებაც, და მაინც, აღიარება და ქება თემიდას სასწორზე თითქმის ყოველთვის სძლევდა ხოლმე უარყოფასა და ძაგებას.

ნიშანდობლივია, რომ შალვა ამონაშვილის პედაგოგიური ნააზრევით ერთნაირად დაინტერესდნენ როგორც თეორეტიკოსები, ისე სკოლის პრაქტიკოსი მუშაკები. კაცმა რომ თქვას, ეს არც იყო გასაკვირი. აქ უჩვეულო ის იყო, რომ შალვა ამონაშვილმა პედაგოგიკის მეცნიერება კაბინეტიდან გამოიყვანა და სკოლის მერხზე დასვა. საბჭოურ სინამდვილეში ამგვარი სითამამე რევოლუციას უდრიდა. სწორედ ამიტომ იწვევდა ბატონი შალვას მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა განსხვავებულ, ურთიერთსაპირისპირო შეფასებებს.

შალვა ამონაშვილმა გაბედულად დაამსხვრია საბჭოურ პედაგოგიკასა და სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შტამპები და შაბლონები. მალე მთელ ქვეყნიერებას მოედო – თბილისში ცხოვრობს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი შალვა ამონაშვილი, რომელიც პირველკლასელებს ასწავლისო. მოედო და თბილისი მაშინვე პედაგოგიკის მექად, პედაგოგიკის მეცნიერების ეპიცენტრად იქცა. ცხადია, ევრაზიიდან თუ ამერიკიდან თბილისში იმის სანახავად არავინ მოდიოდა, როგორ ასწავლის პროფესორი პირველკლასელებსო. სანახავი და საყურადღებო სხვა რამ გახლდათ...

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, 1964 წელს, ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია შეიქმნა. მისი კვლევა-ძიებითი მუშაობა, ძირითადად, ბავშვის საერთო განვითარების ვიგოტსკისეულ მოძღვრებასა და უზნაძის განწყობის თეორიას დაეფუძნა. წინა პლანზე დადგა სწავლების განმავითარებელი ფუნქცია. სწორედ ამ ლაბორატორიაში მუშაობისას, განსაკუთრებით კი ლაბორატორიის ხელმძღვანელად ყოფნისას, გამოიკვეთა შალვა ამონაშვილის პედაგოგიური ტალანტი.

ექსპერიმენტული ლაბორატორიის მთავარ მიმართულებად შალვა ამონაშვილმა სწავლების ორგანიზაციის ისეთი ფორმებისა და გზების დადგენა აქცია, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებში სასწავლო მოქმედიანობისა და შემეცნებითი აქტივობის მოტივთა ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, საჭირო გახდა სწავლების პროცესის მართვის მექანიზმის რადიკალურად შეცვლა. ამან დაუპირისპირა, სწორედ, ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია და მისი ხელმძღვანელი იმპერატიული, ანუ „ტრადიციული“ სწავლების თეორიასა და პრაქტიკას. ზოგადად ეს დაპირსპირება ასე გამოიხატება: იმპერატიული სწავლება ცდილობს ***აიძულოს*** ბავშვი ისწავლოს, ჰუმანურ საწყისებზე აგებული სწავლება ცდილობს ***დაითანხმოს*** იგი ამგვარ საქმიანობაზე.

შალვა ამონაშვილის მთელი პრაქტიკული და თეორიული შემოქმედება ბავშვებთან თანამშრომლობისაკენ, სწავლაზე ბავშვის დათანხმებისაკენ არის მიმართული. იგი პედაგოგებს (და მოსწავლეებსაც) უჩვენებს არა მარტო იმას, თუ ***რა უნდა აკეთონ***, არამედ იმასაც, თუ ***როგორ უნდა აკეთონ***.

ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით პრინციპულად შეცვალა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების შინაარსი და იგი ჰუმანურ საწყისებზე ააგო: ბავშვი იქცა სასწავლო პროცესის სრულუფლებიან წევრად, მას თავისუფალი არჩევანის უფლება და საშუალება მიეცა. და რაც ყველაზე მთავარია, რამაც მაშინდელი პედაგოგიური საზოგადოების ცხოველი ყურადღება დაიმსახურა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც, ისაა, რომ ამონაშვილის პედაგოგიურმა თეორიამ უარყო მენტორული ***„უნდა“*** და, მის ნაცვლად, დაამკვიდრა ანალიტიკური ***„ამგვარად“***. სწორედ ***„უნდას პედაგოგიკის“*** სრულ უარყოფად იქცა ბატონი შალვას წიგნები – „გამარჯობათ, ბავშვებო!“, „როგორ ცხოვრობთ ბავშვებო?“ და „მიზნის ერთიანობა“, რომლებიც გამოცემისთანავე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიცა და მის ავტორს არნახული პოპულარობა მოუპოვა.

ეს პედაგოგიური ტრილოგია სრულიად ახალი ტიპის მეცნიერული შემოქმედების ნიმუში იყო. იგი სათავეს პედაგოგიკის კლასიკოსთა მოძღვრებებში იღებს და თანამედროვეობისა და მომავლის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ეს არის ნიმუში ისეთი პედაგოგიური წიგნებისა, რომელიც მხატვრული შედევრივით იკითხება.

„რა არის ეს? – წერდა მაშინ აკადემიკოსი ა. პეტროვსკი, – მეთოდიკური სახელმძღვანელო, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სასწავლო წიგნი? არა! ჩვენს წინაშეა პედაგოგიური პოემა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოები.“

ერთ-ერთ სტატიაში შალვა ამონაშვილი წერს, ბავშვი უსაზღვროების მოდელიაო. წიგნში – „გამარჯობათ, ბავშვებო!“ – მან მკითხველს თვალწინ გადაუშალა სწორედ ეს „უსაზღვროების მოდელი“, რომლის ლაბირინთებში გავლა მხოლოდ ბავშვისადმი სიყვარულის კომპასით არის შესაძლებელი. ეს არის მთელი სასწავლო წლის პარტიტურა, რომელსაც თან ახლავს ბავშვებთან უფროსების მიახლების შესანიშნავი მუსიკა, მაღალ ჰუმანურ, ბავშვის პიროვნების პატივისცემის ნოტებზე დაწერილი.

უკანასკნელ ათწლეულებში შალვა ამონაშვილმა მოსკოვში მის მიერ დაარსებულ, დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილ გამომცემლობაში – „შალვა ამონაშვილის საგამომცემლო სახლში“ უაღრესად საინტერესო წიგნები გამოსცა: „პედაგოგიური სიმფონია“, „ფიქრები ჰუმანურ პედაგოგიკაზე“, „ცხოვრების სკოლა“, „სამასწავლებლოში გაჩენილი აზრები“ და სხვ. ამ წიგნებმა უცხოელ ექსპერტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს და დღეს, დასავლეთში, ამ წიგნების ავტორს დიდი ამერიკელი მეცნიერის, ჰუმანური ფსიქოლოგიის ფუძემდებლის კარლ როჯერსის გვერდით იხსენიებენ.

შალვა ამონაშვილის მოძღვრებაში ბრწყინვალე განვითარება ჰპოვა კლასიკური პედაგოგიკის ჰუმანურმა საწყისებმა. იგი დაფუძნებულია არა მარტო ბავშვის სიყვარულსა და პატივისცემაზე, არამედ მისადმი გულწრფელ ნდობაზეც, რადგან ამონაშვილისათვის ბავშვი მომავალია, მომავალს კი აუცილებლად უნდა ვენდოთ და ღიმილით შევხვდეთ. მისი პედაგოგიკაც ღიმილის პედაგოგიკაა.

ახლა, როცა შალვა ამონაშვილზე ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ქართული ანდაზის ჭეშმარიტებაში, რომელიც ბრიყვ კაცზეა ნათქვამი: „თურაშაულის პატრონი, ტყეში პანტას დაეძებდაო“. იმ ბრიყვი კაცის როლში დღესაც ბევრია ჩვენში. ბატონი შალვას წიგნები დიდი ტირაჟით გამოიცემა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში – საფრანგეთსა და კანადაში, რუსეთსა და აშშ-ში, ინგლისსა და ჩინეთში; აქვეც, უკრაინასა და ბელორუსიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში... ყველას ვინ ჩამოთვლის! საქართველოში კი...

შალვა ამონაშვილის თურაშაულებს ევროპელები და ამერიკელები ჰკრეფენ, ჩვენი განათლების მესვეურები კი აფრიკისა და ამაზონის ჯუნგლებში დარბიან პანტის საძებნად. ვერ მოძებნიან, რადგან იქ პანტაც კი არ ხარობს და თურაშაულიც გვერდზე დარჩებათ.

ამ ცოტა ხნის წინ, მოსკოვში, გამოვიდა ბატონი შალვას ახალი წიგნი – „ჩემო ღიმილო, სადა ხარ?“, მას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ცნობილი რუსი პოეტესას მარიანა იზოლინას ლექსი, რომლის ბწკარედით თარგმანიც აქვე უნდა მოვიყვანო:

„შალვა ამონაშვილი
ვინც ღიმილით ეგებება
სიცოცხლეს,
ვინც ღიმილში ახვევს ბავშვებს,
ვინც ღიმილით წყვეტს
პრობლემებს,
ვისი ღიმილიც სიბრძნის სხივია,
ვინც მზესავით ყველას ათბობს,
იგი ღიმილით სძლევს
ბოროტებას,
მან უდიდესი საიდუმლო იცის:
ღიმილის არსი – შემოქმედის
სიხარული.“

გამეხარდა, რომ წავიკითხე (ბოდიშს ვიხდი არაპოეტური თარგმანის მოყვანისათვის!), გული კი იმაზე დამწყდა, რომ ერთი ბრძენკაცისა არ იყოს, საქართველოში ჭეშმარიტად დიდ კაცს აღიარებისათვის ყოველთვის აკლია ერთი რამ – სიკვდილი.

ბატონ შალვას ჯვარი სწერია. მას ახლახან დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, თუმცა ვინც მის საქმიანობას იცნობს, ამას არ დაიჯერებს. შარშან ზაფხულში, გაგანია სიცხეში, ივლისის თვეში სემინარები ჩაატარა ენთუზიასტი პედაგოგებისათვის თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში და თავის მშობლიურ სოფელ ბუშეტში. ექვსი საათის განმავლობაში შეუსვენებლივ ატარებდა გამაოგნებელ მასტერკლასებს და პასუხობდა დამსწრეთა უამრავ კითხვაზე.

მის ცეცხლოვან გაკვეთილებს რომ ვუცქერდით, შევნატრდით მის უსაზღვრო ენერგიასა და რწმენას. მარტო მე და ჩემნაირები კი არა, სრულიად ახალგაზრდა პედაგოგებიც.

ბატონ შალვას ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ მის სახელოვან იუბილეზე, რასაც ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ. რაც შეეხება საქართველოში საყოველთაო აღიარებას, ისიც ჩვენსავით ქართველია და გვიან, მაგრამ მაინც მოვა.

ზურაბ ცუცქირიძე

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** საზოგადოებრივ დარბაზს, რომლის შემადგენლობაშიც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, პედაგოგები, პოლიტიკოსები და განათლების სფეროთი დაინტერესებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლები შედიან, განსახილველად ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი წარუდგინა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პირველად საქართველოში, ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი შემუშავდა. ქართული ენის ფლობის სტანდარტი განკუთვნილია მასწავლებლების, შემფასებლების, მეთოდისტების, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგენლებისათვის, სასწავლო ლიტერატურის გამომცემლებისა თუ რედაქტორებისათვის, ასევე, თვითშემსწავლელებისა და იმ პირთათვის, ვისაც საქმე აქვს ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლა/სწავლებასთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი განსახილველად პირველად სპეციალურ კომისიას წარედგინა. პირველ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**. ამჯერად, დოკუმენტი საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა შეაფასეს. მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნება სტანდარტის საბოლოო ვარიანტში.

კოკა სეფერთელაძის განცხადებით, სამუშაო შეხვედრები საზოგადოებრივი დარბაზის წევრებთან ძალზე მნიშვნელოვანია. სამინისტრო ასეთ თანამშრომლობას მომავალშიც ინტენსიურად განახორციელებს.

ექსპონატები დედაენის სამყაროდან

აი ია – ყველაზე ძალმოსილი შეღევრი ქართული ცნობიერების ისტორიაში



პირველი გვერდიდან

ყოველ გამოცემას, გარდა იმისა, რომ ის თარიღითაა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ისტორია აქვს – პირველი დედაენა გოგებაშვილის ნაქონია და მისივე ხელითაა ჩასწორებულ-რედაქტირებული, მერვე გამოცემა (გადაშლილია მისივე ხელით და მეცხრე გამოცემა აწერია) – პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი; ამ წიგნის შესწორებები და ჩანაწერები იაკობ გოგებაშვილის ხელითაა ჩაწერილი. „დედა ენის“ შექმნამდე ოცი წლით ადრე კი, 1865 წელს, იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ქართულ ანბანს მხოლოდ ინიციალები აწერია – ი. გ. ეს იყო პირველი მცდელობა, პირველი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ქართველ ყმაწვილთათვის; ამის შემდეგ, პირველად, „დედა ენა“ 1976 წელს გამოიცა. გამოფენაზე ეს გამოცემა წამოდგენილი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილი ეგზემპლარით. ეს წიგნი იმითაც ფასდაუდებელია, რომ დიმიტრი ყიფიანის ნაქონია.

შემდგომი გამოცემები – 1878 - 1892 წლები – გამოირჩევა პირველი ქართული გრავიურებით, რომლებიც გრიგოლ ტატიშვილის მიერაა შესრულებული.

1900-იან წლებში გამოცემული წიგნები უკვე მინაწერებით ჩნდება: „სკოლებში სახმარებელი“. მეცხრამეტე გამოცემაზე წაიკითხავთ წარწერას: *314, 000* (სავარაუდოდ, წიგნის ტირაჟია), *სამას სამოცი სურათით, წიგნი სახელგაკეთებულია განათლების სამინისტროსგან და მოწონებულია უწმინდესის სინოდისაგან.* 1912 წლის გამოცემა რიგით ოცდამეცამეტეა, მისი განახლებული ვარიანტი ახლახან გამოიცა.

შემდეგი სტენდი უკვე საბჭოთა პერიოდის „დედა ენის“ ეთმობა – 1940 წლიდან 1952 წლამდე. თვალშისაცემია ბელადების სურათები. თუ ამ პერიოდამდე გამოცემულ „დედა ენაში“ აქცენტი მშობლიურ ენაზე და სხვა საკითხებზეა გაკეთებული, აქ წიგნი უკვე იდეოლოგიზირებულია პოლიტიკურად. ბუნებრივია, იდეოლოგიზირება წინანდელ გამოცემებშიც იქნებოდა, თუმცა სხვა კუთხით. 1944 წლის გამოცემის სატიტულო ყდაზე ჩნდება სტალინის სურათი. იმავე სტენდზეა იშვიათი გამოცემა – დედაენის ერთ-ერთ გვერდზე ლავრენტი ბერიას სურათია განთავსებული და ლექსიცაა მიძღვნილი. ეს გამოცემა იშვიათია იმით, რომ ბერიას ფოტოა შემონახული. იმ პერიოდის გამოცემებს თვალს თუ გადავავლებთ, მისი სურათები თითქმის ყველგან ამოხეულია. თავდაპირველი გამოცემები, მსგავსი თემატიკისგან თავისუფალია, მაგრამ ისევე, როგორც ყველა და ყველაფერი, საბჭოთა იდეოლოგიისგან ვერც „დედა ენა“ იხსნიდა თავს და ამიტომაც, ამ პერიოდის გამოცემებში უხვად ჩანს საბჭოთა ისტორიის ანარეკლი.

საინტერესოა, ოსმან ტამტრულის მიერ ჭანურ ენაზე (ძველი ქართულით) შედგენილი გამოცემა – „ნანანენა“, რომელიც1891 წლით თარიღდება, ასევე, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი დედაენა და ჯიბის დედაენები.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო პლაკატები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უკავშირდება: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებლების პლაკატი, 1879 წელი, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მიერ დაიბეჭდა; იაკობ გოგებაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატი; საინტერსოდაა მოთხრობილი ქართული კომიქსებით „იავნანამ რა ჰქნა?!“

„დედა ენის“ მნიშვნელობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართველ მოღვაწეთა გამონათქვამები:

„ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს, სხვანაირად გაიაზრებს. ჰოდა, იმ დღეს რა დაგვავიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გაგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი, განა, მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?“

დემნა შენგელაია

„ამ წიგნის მეოხებით ქართველობა ერთის ქართული ენით იწყებს წერა-კითხვას, სწავლებას და ლაპარაკს. ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება.“

ზაქარია ჭიჭინაძე

„იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დუდგას.“

აკაკი

„დედა ენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად.“

გალაკტიონი

მარიამ ჭყონია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილების უფროსი სპეციალისტი: *„13-14 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, „დედა ენის“ დღეს გამოფენა მივუძღვენით, ასევე, სკოლის მოსწავლეებისათვის ნანა ჯანელიძის ფილმის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ჩვენება გავმართეთ. დასრულების შემდეგ კი, საბავშვო მწერლებმა – ირმა მალაციძემ და მარიამ წიკლაურმა ფილმის განხილვა მოაწყვეს.*

რაც შეეხება გამოფენას, მართლაც ძალიან საინტერესოა. საზოგადოებას შევთავაზეთ „დედა ენის“ უნიკალური გამოცემები, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული. „დედა ენის“ გამოცემების ყველაზე სრული კოლექცია სწორედ ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება, ასევე, დაცულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი, მათი წევრების ბიბლიოთეკები, იაკობის ნაქონი კარადა მისივე ბიბლიოთეკით და სხვ.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 1876 წელს გამოცემული პირველი „დედა ენა“ და ქართული ანბანი, რომელიც მის გამოცემას წინ უსწრებდა, დათარიღებულია 1865 წლით. 1877 წლის „დედა ენა“ იმითაც უნიკალურია, რომ გოგებაშვილის ხელითაა ჩასწორებული. ერთ-ერთი იშვიათი ექსპონატი 1872 წლითაა დათარიღებული – „დარიგება მასწავლებელთათვის“, წიგნი პედაგოგებისთვის, როგორ ასწავლონ „დედა ენა“. გამოიფინა, ასევე, 1912 წელს, გოგებაშვილის სიცოცხლეში გამოცემული ბოლო „დედა ენაც“ და საერთოდ, ყველა გამოცემა, რაც კი მის სიცოცხლეში დაბეჭდილა. დამთვალიერებლისთვის სიახლე იქნება, ალბათ, ვალერიან რამიშვილის მიერ გამოცემული დედა ენა, რომელიც უსინათლო ბაშვებისთვის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილა.

ექსპოზიცია უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა ჩვენს ფონდებში დაცულმა პლაკატებმა და ამონარიდებმა ჟურნალ-გაზეთებიდან – რას წერენ „დედა ენის“ შესახებ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები. გამოფენა გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე და ყველა იმ ადამიანზე, ვისთანაც ყველაზე ახლოსაა „დედა ენა“. ამ ექსპოზიციით დამთვალიერებელს შეუძლია თვალი მიადევნოს ყველა საფეხურს – როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა გოგებაშვილის უკვდავი ქმნილება.“

წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა, ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიენდო, რომელსაც ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დღემდე ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მთავარ ფესვად რჩება, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ამ წიგნის სიყვარულით არ არის გამოწვეული. ილიაც ხომ „დედა ენას“ უდიდეს მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდა, რომ მიაჩნდა: *„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანმოუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის რთულსა და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაცა, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია.“* ილიას სიტყვები დღეს – ოცდამეერთე საუკუნეშიც არ კარგავს აქტუალობას, ქართველი ბავშვი დღესაც „აი ია“-თი იწყებს განათლებას.

იაკობ გოგებაშვილის გენიალურ მიგნებას – „აი ია“-ს გია მურღულია ცხრა მთავარი მომენტით გვიხსნის:

- ეს არის ღვთაებრივი ჰარმონიის გამოხატულება, თვით შემეცნება. მას სარკისებური პრინციპიც აქვს – შენ თავს რომ დაგანახვებს, ისეთი. ჯერ კიდევ ძველებმა იცოდნენ, რომ საკუთარი თავის შემცნობი სამყაროსაც შეიმეცნებს. ამიტომაც ეწერა დელფოსის ტაძრის შესასვლელში: „შეიცან თავი შენი“.
- **აი ია** არის წინადადება. გოგებაშვილი ბავშვის განათლებას იწყებს პირდაპირ წინადადებით, არა ასოთი ან სიტყვით, არამედ პრინციპულად – წინადადებით, ანუ აზრით.
- სწავლება იწყება საგნის შეცნობით, **აი ია** – პირველივე წინადადებით საგანს შეიცნობ. ესეც ძალიან არსებითია.
- ეს არის, აგრეთვე, აღმოჩენის სიხარული, **აი ია** – ესე იგი აღმოაჩინე რაღაც.
- არანაკლებ არსებითია სახელის დარქმევა საგნისთვის – აი, ყვავილი, რომელსაც ია ჰქვია. სახელის დარქმევა უკვე საგნის შეცნობას ნიშნავს.
- ძალიან მნიშვნელოვანია შემეცნების დაკავშირება ბუნებრივ მშვენიერებასთან, სილამაზესთან. როდესაც, ბუნების გარდა, ბავშვის თვალსაწიერშიც ამოდის ია, ეს არის მშვენიერება, ანუ შემეცნების პრინციპად აღებულია ესთეტიზმი.
- ეს არის ზიარება ქართული მეტყველების მუსიკასთან – ხმოვნების საოცარ ჰარმონიასთან.
- ეს არის გრაფიკული გამოსახულების სრულქმნილება – როგორც **ა**, ისე **ი** სრულყოფილ სიმრგვალეს – წრეს უკავშირდება და განასახიერებს.
- ბიბლიაში ასეთი რამ წერია– ღმერთი არის ანი და ჰოე, ანუ ის არის სამყაროს დასაწყისი და დასასრული. **აი ია**-შიც, ამ პატარა წინადადებაშიც სიმბოლურად მთელი სამყაროს ისტორიაა მოცემული (სახეობრივად – განფენა და უკუფენა), ანუ ხსენებული დასაწყისი და დასასრული. იაკობის შესანიშნავი მიგნება ათწლეულების შემდეგაც ახალი რაკურსით წარმოგვიდგება, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ეს კაცი იყო დაუმადლებელი გენიოსი და ძალიან ბევრ რამეზე იფიქრა, სანამ შექმნა ეს შედევრი. **აი ია** – ეს არის ყველაზე პატარა და იქნებ, ყველაზე ძალმოსილი შედევრიც ქართული ცნობიერების ისტორიაში.

ლალი ჯელაძე

გამოსაშვები გამოცდები

პრეტესტი – მარტივი, საშუალო თუ რთული?

როგორ აფასებენ მეთორმეტეკლასელები პრეტესტს

თბილისის №24 საჯარო სკოლა

ნინო მაჩაიძე: პრეტესტში მონაწილეობა მივიღე, ეს ნამდვილად კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ გავცნობოდი საგამოცდო სისტემას და ტესტური დავალებების ნიმუშებს. ჩემთვის საკმაოდ რთული იყო ბიოლოგიის ტესტები, განსაკუთრებით – ანატომიის ნაწილი. ასევე რთული იყო ფიზიკისა და ქიმიის ტესტები, არასაკმარისი დროის გამო, ამ საგნებში სათანადოდ ვერ ვემზადები. მართალია, სკოლაში აბიტურის გაკვეთილები ტარდება, მაგრამ კვირაში ერთხელ სააბიტურო გაკვეთილზე დასწრება საკმარისი არ არის.

ნაკა ქურდაძე: სიმართლე გითხრათ, მეგონა პრეტესტი გაცილებით მარტივი იქნებოდა. რაც შეეხება პრეტესტის ჩატარების პრინციპს, არც ისე დახვეწილი იყო. საცდელი ტესტირების ჩატარების მიზანი, როგორც გვითხრეს, გამოსაშვები გამოცდების კომპიუტერული სისტემის გამოცდა იყო, სამწუხაროდ, სისტემა საკმაოდ გაუმართავად მუშაობდა. ყველა საგანში ძალიან დიდი დატვირთვით ვმეცადინეობ, თუმცა, მაინც მეშინია ქიმიის. რთულია, ერთ წელიწადში, სხვა საგნებთან ერთად, ქიმიაში ისე მოემზადო, რომ ტესტში მოცემულ საკმაოდ რთულ შეკითხვებს გასცე პასუხი და ბარიერი გადალახო.

ქეთი ნიკოლაშვილი: ძალიან ბევრ ჩემ თანატოლს არ აქვს ყველა საგანში მომზადების საშუალება. სამწუხაროდ, ტრიმესტრული სწავლებით გამოწვეულმა ჩავარდნამ ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში უკან დაგვხია. ერთ წელიწადში ამ საგნების ხარისხიანად შესწავლა ძალიან რთულია. პრეტესტში მივიღე მონაწილეობა. კარგია, რომ მოგვეცა შესაძლებლობა ყველა ტიპის დავალებებს გავცნობოდით და შეძლებისდაგვარად გვეპასუხა. თუმცა, კარგი იქნებოდა ჩვენი შესაძლებლობები შეფასებულიყო ან პასუხის არასწორად გაცემისას, ეკრანზე სწორი პასუხი გამოჩენილიყო. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ შეკითხვები მარტივი იყო. ვფიქრობ, ბევრი ჩემი თანატოლი ვერ შეძლებს ბარიერის გადალახვას.

გიორგი იმერლიშვილი: პრეტესტში ზოგიერთი საგანი მარტივი და ჩემთვის ადვილად დასაძლევადი იყო, ზოგიერთი კი – საკმაოდ რთული. გამიჭირდა ფიზიკის ტესტი, სადაც თითოეული ამოცანის ამოსახსნელად, მინიმუმ, ოთხი ფორმულა უნდა იცოდე. ბიოლოგიაში იყო ისეთი საკითხები, რომელიც ანალიზს საჭიროებს; საკითხები ანატომიიდან ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა; მათემატიკა იმ მხრივ იყო რთული, რომ საკმაო დროს მოითხოვდა. არ ვიცით, გვექნება თუ არა სათანადო დრო თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ. ისტორია და გეოგრაფია ჩემთვის რთული არ იყო. სააბიტურო გაკვეთილები ტარდება, მაგრამ ყოველთვის ვერ ვესწრები, დროის სიმცირის გამო, ვეღარ ვასწრებ ეროვნული გამოცდების საგნების მომზადებას. სამწუხაროდ, დღესდღეობით სკოლებში არ არის სწავლების ისეთი მაღალი დონე, რომ არ დაგჭირდეს რეპეტიტორთან მომზადება. სააბიტურო გამოცდებისთვის, დამატებით, ფიზიკასა და ქიმიაში ვემზადები კერძო მასწავლებელთან.

ნატო დარჩიაშვილი: ზოგადად, პრეტესტი რთული არ იყო, მაგრამ იყო ჩამჭრელი შეკითხვებიც, ძლიერ მოსწავლეზე გათვლილი. იმის გამო, რომ ფიზიკა და ქიმია მხოლოდ ერთი თვე ისწავლებოდა, ძალიან ჩამოვრჩით. სამწუხაროდ, არ ვართ საკმარისად ინფორმირებულები, თუ როგორ ჩატარდება სააბიტურო გამოცდები, მაგალითად, მაინტერესებს, როდის დადგინდება ზღვარი, რამდენი შეკითხვა იქნება, რა დრო დაეთმობა თითო კითხვას და ა.შ.

ივანე თოფჩიშვილი: ქართული და ინგლისური ჩემთვის ძალიან ადვილი იყო, საკმაოდ რთული იყო ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია. სამწუხაროდ, ეს საგნები, თავის დროზე, სათანადოდ ვერ ვისწავლეთ სკოლაში, ვფიქრობ, ამ საგნებში უფრო მარტივი კითხვები უნდა იყოს. მართალია, სკოლაში სააბიტურო გაკვეთილები ტარდება, მაგრამ სამწუხაროდ, შეზღუდული დროის გამო, ხშირად ვერ ვახერხებ დასწრებას. გაცილებით მეტ დროს ეროვნული გამოცდებისთვის მზადებას ვუთმობ.

თორნიკე ნარსავიძე: ჩემი აზრით, პრეტესტში, ყველაზე რთული მათემატიკა იყო. მაგალითად, სკოლის პროგრამაში არ არის წრეწირის სეგმენტები და სექტორები, რაც პრეტესტში იყო. ჩემი აზრით, სააბიტურო გამოცდაზე, ეროვნულისგან განსხვავებით, გაცილებით მარტივი კითხვები უნდა იყოს. მე აბიტურის გაკვეთილებზე დავდივარ, დამატებით ვერ ვემზადები. იმედია, აბიტურის გაკვეთილზე შეძენილი ცოდნა, სააბიტურო გამოცდების ზღვრის გადალახვაში დამეხმარება.

ლილი მამულაშვილი: გვპირდებოდნენ, რომ პრეტესტი მინიმალური დონის იქნებოდა და ყველა შეძლებდა მის დაძლევას. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო, ქართულშიც კი საკმაოდ რთული ტესტები იყო. მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ მომზადებული ვარ, პრეტესტის დაძლევა მაინც გამიჭირდა. მაინტერესებს, გამოცდაზე იქნება თუ არა განსაზღვრული კითხვების რაოდენობა? რამდენი საკითხი იქნება თითოეულ საგანში? მაშინვე გავიგებთ, გადავლახეთ თუ არა ზღვარი? აბიტურის გაკვეთილები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ 30 მოსწავლესთან ერთად მეცადინეობას კერძო მასწავლებელთან მიღებული ცოდნა სჯობს, თუკი, ფინანსური საშუალება გაქვს.

ანი ხარებაშვილი: პრეტესტში მონაწილეობამ გარკვეული გამოცდილება მომცა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ისეთი მარტივი იყო რომელსაც გვპირდებოდნენ. ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია საკმაოდ რთული იყო, ჰუმანიტარული საგნები – შედარებით ადვილი. ტრიმესტრულმა სწავლებამ, რა თქმა უნდა, უკან დაგვხია. ვფიქრობ, სააატესტატო გამოცდების ჩაბარება არ გამიჭირდება, რადგან ამ საგნებში დამატებით ვემზადები. სააბიტურო გაკვეთილები სკოლაში კვირაში ერთხელ ტარდება. ვინაიდან დასწრება თავისუფალია, ბევრი ჩემი თანაკლასელი ამ საგნებში კერძო მასწავლებელთან მომზადებას არჩევს. ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის წარმომადგენლებთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს: პრეტესტის შემთხვევაში დრო შეზღუდული არ იყო, როგორც ვიცით, სააატესტატო გამოცდებზე გარკვეული დრო დაეთმობა თითოეულ შეკითხვას, კერძოდ რა დრო დაეთმობა თითოეულ შეკითხვას? რა კრიტერიუმებით მოხდება შეფასება? იმისათვის, რომ ზღვარი გადავლახოთ, რამდენ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი?

დავით ზაზაშვილი: ჩემთვის რთული იყო საბუნებისმეტყველო საგნები – ფიზიკა და ქიმია, მათემატიკაც საკმაოდ რთული იყო. იყო ტესტებში ისეთი საკითხები, რომელსაც მოსწავლე პასუხს ვერ გასცემს, თუ დამატებით არ ემზადება. ტრიმესტრულმა სწავლებამ საკმაოდ დაგვაშორა ამ საგნებს. მაინტერესებს, სააატესტატო გამოცდის დასრულებისთანავე გვეცოდინება გადავლახეთ თუ არა ზღვარი?

თბილისის №23 საჯარო სკოლა

თინა ბარაბაძე: ყველაზე მეტად ბიოლოგია გამიჭირდა. მეგონა, პრეტესტი გაცილებით მარტივი იქნებოდა. სკოლაში სააბიტურო გაკვეთილებს სისტემატურად ვესწრები. ძალიან ვნერვიულობ ნოუთბუქების გამო, ვინაიდან გავარჯიშების გარეშე საკმაოდ რთულია სენსორული ტექნიკის მართვა. მაინტერესებს: როდის გახდება ცნობილი გამოცდის შედეგები, რა სირთულის ტესტები იქნება ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში, რა იქნება თითოეულ საგანში გადასალახი ბარიერი?

ნათია ფაილოძე: თითოეულ საგანში იყო ადვილი, საშუალო და რთული კითხვები. საშუალო და ადვილ კითხვებს რეპეტიტორთან მომზადების გარეშეც გასცემს მოსწავლე პასუხს, მაგრამ რთული კითხვები შესაძლებელია ჩამჭრელიც კი აღმოჩნდეს.

პირადად მე, აბიტურის გაკვეთილები ნამდვილად დამეხმარა პრეტესტის დაძლევაში. მაინტერესებს – ტესტის დასრულებისთანავე გავიგებ გადავლახე თუ არა ბარიერი? როდის დადგინდება ბარიერი, იქნება თუ არა შეზღუდული დრო თითოეულ კითხვაზე პასუხის გასაცემად? რა დრო იქნება განსაზღვრული თითოეული კითხვისთვის? სამწუხაროდ, ჯერ ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. შესაძლებელი იქნება თუ არა ბარიერის გადალახვა მარტივი კითხვების ხარჯზე.

კოტე ებრალიძე: ჩემთვის ისტორიის პრეტესტი მარტივი იყო, სამაგიეროდ, ძალიან რთული იყო მათემატიკა. ჩემი აზრით, პრეტესტი გათვლილი იყო იმ მოსწავლეებზე, ვინც რეპეტიტორთან ემზადება. მაგალითად, გეოგრაფიაში იყო ასეთი კითხვა: ეკვატორის, პირობითად, ამ გრადუსზე ან მერიდიანის ამ გრადუსზე, რომელი ქვეყანა მდებარეობს? თუ რუკა არ გაქვს, ზეპირად რთულია ამ კითხვას უპასუხო; მაგალითად, ქიმიაში იყო შეკითხვა – მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ სისტემაში, ამა და ამ რიგში, მერამდენეა ალუმინი ან სპილენძი? ჩემთვის წარმოუდგენელია 117 ელემენტის მდებარეობის დაზეპირება.

ერთ წელიწადში ნასწავლი საგანი არ არის სწავლა და განათლება, ეს თავში ჩაყრილი ინფორმაციაა, რომელსაც ვიზეპირებ იმიტომ, რომ ატესტატი ავიღო. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, გამოსავალს ისევ სწავლაში ვეძებ.

მაინტერესებს, შეძლებს თუ არა მოსწავლე ქიმიის გამოცდაზე ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემისა და ქიმიური ჯგუფების პერიოდული ცხრილის გამოყენებას? გეოგრაფიის გამოცდაზე ექნება თუ არა მოსწავლეს რუკით სარგებლობის შესაძლებლობა?

თბილისის №43 საჯარო სკოლა

მარიამ პაპიძე: პრეტესტში ვმონაწილეობდი და შედეგით უკმაყოფილო ვარ. ამბობდნენ, მარტივი საკითხები იქნებაო, რაც მათთვის მარტივია, ჩვენთვის ის რთულია, რადგან ტრიმესტრული სწავლების „წყალობით“ ეს მარტივიც არ გვისწავლია. თუ ამ სირთულის ტესტები იქნება გამოცდებზე, ბევრი ვერ გადალახავს ზღვარს.

სოფო ჯამრელიძე: მარტივი კი არა, საშუალოზე რთულიც კი იყო შემოთავაზებული პრეტესტი. გამოჩნდა, რომ ყველა საგანში ყველაფერი უნდა იცოდე და თანაც ძალიან კარგად. მინიმალური ცოდნით ვერც ერთ საგანში ვერ გადალახავ ზღვარს.

გვარი და სახელი არ დაასახელა: სამედიცინოზე ვაბარებ და ბიოლოგიას კარგად ვსწავლობ, ვემზადები კიდეც. მიუხედავად ამისა, 50 საკითხიდან 8 შეცდომა დავუშვი. ჩემთვის ეს ბევრია. მიმაჩნია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პრეტესტები რთული იყო. აქ მეტი შანსია, ვერ გადალახო დადგენილი ზღვარი. რატომ გვექცევიან ასე უსამართლოდ, ვერ გამიგია?!

ავთო ასათიანი: მათემატიკაში ყველა ტესტი გავაკეთე, მაგრამ ორი ისეთი ტერმინი შემხვდა, მანამდე რომ არ მისწავლია და არც პროგრამაში წერია. როგორც პედაგოგმა ამიხსნა, თურმე, ვიცი რაც არის, მაგრამ სხვა ტერმინია გამოყენებული. გამოცდაზე ასეთი რამ არ უნდა მოხდეს.

ჩვენი რესპონდენტების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ერთიანი ეროვნული გამოცდების ვებგვერდზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხებს გადავხედეთ. იქ ყველა იმ შეკითხვაზეა გაცემული პასუხი, რომელიც გამოსაშვები გამოცდების ირგვლივ დასმულა მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მეთორმეტეკლასელები გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებდნენ.

ტესტირებისას დაფიქსირდება თუ არა, კითხვაზე პასუხის გაცემისას, სწორია თუ არა პასუხი?

მოსწავლე ვერ დაინახავს სწორად უპასუხა თუ არა კითხვას, პროგრამა მას უბრალოდ მომდევნო კითხვას მიაწვდის.

იქნება თუ არა განსაზღვრული კითხვების რაოდენობა?

გამოსაშვები გამოცდების კითხვების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ამ ტიპის გამოცდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამა, კონკრეტულ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით ურჩევს მოსწავლეს მომდევნო კითხვას, სანამ მის შესაძლებლობებს არ დაადგენს.

შესაძლებელია ერთი მოსწავლის შემთხვევაში კითხვების რაოდენობა, ვთქვათ, 30 აღმოჩნდეს, მეორის შემთხვევაში კი – 18. კითხვების მაქსიმალური რაოდენობა წინასწარ იქნება განსაზღვრული.

როდის გახდება ცნობილი გამოცდის შედეგები?

შედეგს (ქულას) მოსწავლე მონიტორზე გამოცდის დასრულებისთანავე დაინახავს.

შეძლებს თუ არა მოსწავლე ქიმიის გამოცდაზე პერიოდულობის სისტემისა და ხსნადობის ცხრილის გამოყენებას?

მოსწავლეს ქიმიის გამოცდაზე ექნება პერიოდულობის სისტემისა და ხსნადობის ცხრილის გამოყენების შესაძლებლობა.

თუ იქნება ისეთი ტიპის დავალებები, რომელზე პასუხის გასაცემადაც მოსწავლეს რუკის გამოყენება დასჭირდება? საუბარია, როგორც ისტორიულ, ასევე გეოგრაფიულ რუკებზე.

ისტორიასა და გეოგრაფიაში რუკის გამოყენება სხვადასხვანაირად მოხდება. ისტორიაში ცალკე ქაღალდზე ნაბეჭდი რუკა მოსწავლეებს არ მიუვათ. შესაძლოა, იყოს შემდეგი ტიპის დავალება: ეკრანზე იქნება ნაჩვენები ისტორიული რუკა, რომელზეც შეკითხვა იქნება მიბმული. რაც შეეხება გეოგრაფიას, მოსწავლეებს დაურიგდებათ რუკები, რომელთა ერთ მხარეს საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიული რუკა იქნება წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხარეს – მსოფლიოს პოლიტიკური რუკა.

სააატესტატო გამოცდებისას იქნება თუ არა შეზღუდული დრო თითოეულ კითხვაზე პასუხის გასაცემად?

თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ მოსწავლეს განსაზღვრული დრო ექნება, გამოცდის ხანგრძლივობა კი საათნახევარი იქნება.

რა იქნება კომპეტენციის მინიმალური ზღვარი?

სააატესტატო გამოცდებისთვის ბარიერი დადგინდება პრეტესტის შემდეგ, რომელიც 15 აპრილს დასრულდება.

რა სირთულის ტესტები იქნება საბუნებისმეტყველო საგნებში – ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა?

ტესტები არსებობს სხვადასხვა სირთულის: რთული, მარტივი და საშუალო. ჩვენ გავითვალისწინეთ სასკოლო სისტემაში არსებული ხარვეზები, მოსწავლეების მდგომარეობა და წელს გამოცდაზე ამოცანებს და დავალებებს მხოლოდ მარტივი სირთულის დავალებათა ბლოკიდან შევიტანთ.

ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეებს მიეცემათ თუ არა დასაანგარიშებლად ფანქარი და ფურცელი?

ამოცანები იქნება ისეთი ტიპის, რომ მოსწავლეს ფურცელი და ფანქარი შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეს, მაგრამ თუ ბავშვს სურვილი ექნა, რომ ფურცლისა და ფანქრის დახმარებით ამოხსნას ამოცანა, მას ამის საშუალება მიეცემა.

* * *

ერთ-ერთმა მოსწავლემ საყვედური გამოთქვა: „სკოლის პროგრამაში არ არის წრეწირის სეგმენტები და სექტორები, რაც პრეტესტში იყო“. ჩვენ დავუკავშირდით გამოცდების ეროვნული ცენტრის მათემატიკის ჯგუფის ხელმძღვანელს **ზაზა თევდორაძეს** და ვთხოვეთ განმარტება.

ბატონმა ზაზამ დაგვარწმუნა, რომ ეს საკითხები, ისევე როგორც საგამოცდო ტესტებში შესული ყველა სხვა საკითხი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამიდანაა. მან დაგვისახელა თ. ვეფხვაძის IX კლასის სახელმძღვანელო, რომლის 446-ე გვერდზე წარმოდგენილია სწორედ ის საკითხები, რომელიც მოსწავლემ დაასახელა.

მოამზადეს
მაკა ყიფიანმა
ანა ფირცხალაიშვილმა

ინტეგრირებული გაკვეთილი

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის/თემის აქტუალობა

13 ასურელი მამის მოღვაწეობა საქართველოში, გეომეტრიული ინტერპრეტაციები (ამ გაკვეთილის ჩატარება გადავწყვიტეთ მას მერე, რაც VII კლასში ქართულში შევისწავლეთ თქმულებები და მითები, ხოლო მათემატიკაში – გეომეტრიული ამოცანები).

პედაგოგები – ქეთი ქათამაძე, მანანა მჭედლიშვილი.

საგნები – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტ.

კლასი – VII.

დრო – 45 წთ.

გაკვეთილის მიზნები

ქართულში: მოსწავლეები გაეცნონ 13 ასურელი მამის მოღვაწეობას, იმსჯელონ მათი საქმიანობის შედეგებზე, შეისწავლონ მათთან დაკავშირებული თქმულებები;

მათემატიკა: მოსწავლეებმა ამოხსნან გეომეტრიული ამოცანები, გამოთვალონ გეომეტრიული ფიგურების პერიმეტრი, ფართობი, გვერდების სიგრძე და კუთხეების გრადუსი.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები

ქართ. VII. 4. მოსწავლე მონაწილეობს საკლასო და სასკოლო დისკუსიებში;

ქართ. VII. 1. მოსწავლე ისმენს უცნობი ინფორმაციის შემცველ ტექსტებს და წარმოადგენს ზეპირ ინფორმაციას აუდიტორიის წინაშე;

ქართ. VII. 7. მოსწავლე კითხულობს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს. გამოხატავს და ხსნის საკუთარ დამოკიდებულებას მათ მიმართ;

მათ. VII. მოსწავლემ შეძლოს არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშებში ან მათ ილუსტრაციებში, ყოფითი დანიშნულების საგნებში მისთვის ნაცნობი გეომეტრიული ფიგურების დასახელება. ჩამოაყალიბოს მათი ნიშან-თვისებები და თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული ამოცანების ამოხსნისას;

ისტ – სხვადასხვა სახის ისტ საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში, ისტ საშუალებების ეფექტიანად გამოყენება ინფორმაციის მიღების, შენახვისა და ორგანიზების დროს.

წინარე ცოდნა – მოსწავლეებს დავალებული აქვთ, მოიძიონ ინფორმაცია 13 ასურელი მამის მოღვაწეობის შესახებ ინტერნეტიდან ან სხვა წყაროებიდან, მოამზადონ სლაიდ-შოუ თითოეულის საქმიანობის შესახებ.

აქტივობები და მისაღწევი შედეგები – ისტ-ის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში (მთელი გაკვეთილის მანძილზე), პროვოცირება – 3 წთ; წინარე ცოდნის გააქტიურება – 3 წთ; მოსწავლეთა მიერ მომზადებული სლაიდ-შოუების პრეზენტაცია – 1-1 წთ (სულ 13 პრეზენტაცია – 13-15 წთ); მათემატიკური ამოცანების ამოხსნა სამუშაო წყვილებში – 3 წთ (2 წთ – ამოხსნა, 1 წთ – პრეზენტაცია, სულ 5 ამოცანა – 15 წთ); რეფლექსია-კითხვა-პასუხის საშუალებით მასალის შეჯამება-გააზრება, კროსვორდის ამოხსნა – 5 წთ, საშინაო დავალების მიცემა, მოსწავლეთა შეფასება – 3 წთ.

გაკვეთილის თანმიმდევრობა

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი:

პროვოცირება – ქართულის პედაგოგი იწყებს გაკვეთილს კითხვებით, რა რიცხვია დღეს? 13 – როგორ ფიქრობთ, მართლა თარსია ეს რიცხვი, თუ ცრურწმენაა მხოლოდ? ჟურნალში მეცამეტე ნომრად მყოფი მოსწავლე რა აზრისაა ამაზე? რომელი ფაქტი, მოვლენა თუ ისტორიული პირი გახსენდებათ ამ რიცხვთან დაკავშირებით (სავარაუდოდ, ერთ-ერთი პასუხი იქნება 13 ასურელი მამა)? გავიხსენოთ, რა ვიცით მათი მოღვაწეობის შესახებ?

შემდეგ გაკვეთილში ერთვება მათემატიკის მასწავლებელი და უსვამს მოსწავლეებს კითხვას: როგორი რიცხვია 13? რა კითხვები გებადებათ, როცა ასურელ მამათა მიერ აგებულ ტაძრებში შედიხართ (სავარაუდოდ, ერთ-ერთი პასუხი იქნება, ვაკვირდები ტაძრის კუთხეებს, ფართობს, მოხაზულობას, მის წრიულ ან კუთხოვან აგებულებას, საიდანაც გეომეტრიული ფიგურები იკვეთება)? ფრონტალური კითხვების საშუალებით პედაგოგი ამოწმებს კლასის ცოდნას: მათემატიკის რომელი მიმართულება შეისწავლის ამგვარ ფიგურებს (სავარაუდოდ, პასუხი იქნება: გეომეტრია)? რამდენ ნაწილად იყოფა იგი და რას შეისწავლის თითოეული მათგანი (პლანიმეტრია და სტერეომეტრია)?

წვდომა – გაკვეთილი მიმდინარეობს საპრეზენტაციო პროგრამით მომზადებული სლაიდ-შოუს ფონზე, მოსწავლეები პროექტორით წარმოადგენენ 13 ასურელი მამის მოღვაწეობისა და მათ მიერ აგებული ისტორიული ძეგლების ამსახველი ფოტომასალის მიხედვით მომზადებულ ვიდეოკოლაჟს და იღებენ დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა კუთხით. ეცნობიან, რა როლი შეასრულეს ასურელმა მამებმა ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებასა და ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საქმეში, პერიოდულად გაკვეთილში ერთვება მათემატიკის პედაგოგი და სთავაზობს მოსწავლეებს აღნიშნული ძეგლების მიხედვით მომზადებულ გეომეტრიულ ამოცანებს, წყვილებს ეძლევათ 2-2 წუთი თითოეული ამოცანის ამოსახსნელად და 1-1 წუთი პრეზენტაციისათვის – ამოხსნა დასაბუთებული მსჯელობით.

რეფლექსია – ქართულის პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას, მასალის გააზრება-გათავისების მიზნით მოსწავლეები ეკრანზე ავსებენ 13 ასურელი მამის მოღვაწეობის ადგილებისა და გვარ-სახელების მიხედვით მომზადებულ კროსვორდს;

მათემატიკის პედაგოგი აზუსტებს ამოცანების პასუხებს და ახდენს თეორიული მასალის განზოგადებას. პედაგოგები აფასებენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკის მიხედვით.

საშინაო დავალება

მათემატიკაში – ამოხსნან მსგავსი გეომეტრიული ამოცანა (მონაცემები ეკრანზე გამოჩნდება);

ქართულში – შეადგინონ მსგავსი ტიპის კროსვორდი 13 ასურელი მამის სახელებისა და მოღვაწეობის ადგილების მიხედვით.

შეფასება – აქტიურობის, ჩართულობისა და პრეზენტაციის მიხედვით – ქართულში; ამოცანის სწორად ამოხსნისა და დასაბუთებული მსჯელობის მიხედვით – მათემატიკაში (იხ. შეფასების რუბრიკა).

საკლასო მენეჯმენტი/მოსწავლეთა ორგანიზება – საერთო-საკლასო, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური დავალებები.

საჭირო რესურსები – კომპიუტერი, ეკრანი, პროექტორი, დაფა, ცარცი, რვეული, საწერი კალამი.

გაკვეთილის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი – ინდიკატორი/ინდიკატორის შესაბამისი ქულა

დასაბუთებული მსჯელობის უნარი

ჯგუფის მუშაობა არაორგანიზებულია, სამუშაო არ არის გადანაწილებული წევრებს შორის, ჯგუფური სამუშაოს დავალება არ არის შესრულებული; 1- 5

ჯგუფის მუშაობა ნაკლებადაა ორგანიზებული, სამუშაო არ არის კარგად გადანაწილებული წევრებს შორის, ჯგუფური სამუშაოს დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული; 6-7

ჯგუფის მუშაობა კარგადაა ორგანიზებული, სამუშაო კარგად არის გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის, დაცულია თანამშრომლობის პრინციპი; ჯგუფური სამუშაოს დავალება კარგად/სრულყოფილად არის შესრულებული; 8-10

ჩართულობა

მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, უჭირთ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება, ნაკლებად იცავენ კამათის წესებს; 1-5

მოსწავლეები ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ საჭიროებენ დახმარებას არგუმენტაციისა და დასაბუთების დროს, ნაკლებად ავლენენ ისტორიული კონტექსტის ცოდნასა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 6-7

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, პასუხობენ სწორად, გამოთქვამენ არგუმენტირებულ და დასაბუთებულ მოსაზრებებს; იცავენ კამათის წესებს, ავლენენ მოსმენის კულტურას; 8-10

პრეზენტაცია

ნაკლებადაა გააზრებული პრეზენტაციის მიზანი, მსჯელობა არ არის დამაჯერებელი, პრეზენტაცია არაეფექტურია, არ არის დაცული დროის ლიმიტი; 1-5

გააზრებულია პრეზენტაციის მიზანი, მსჯელობა ნაწილობრივაა დამაჯერებელი, დაცულია დროის ლიმიტი, თუმცა პრეზენტაცია არაეფექტურია, საჭიროებს დახვეწას; 6-7

პრეზენტაცია ეფექტური და დამაჯერებელია, დროის რეგლამენტი და ენობრივ-გრამატიკული ნორმები დაცულია, სწორად არის შერჩეული აუდიტორიაზე ზემოქმედების ხერხები; 8-10

ამოცანა № 1

ტაძრის წრიული შემოსასვლელის დასავლეთ კარიბჭის ფრონტონი ტოლფერდა სამკუთხედია, რომლის პერიმეტრი 9 მ-ია, ხოლო ფერდი-2.5 მ. იპოვეთ ამ სამუთხედის ფუძე

ამოცანა № 2

ტაძრის სამკვეთლოს იატაკი მართკუთხედის ფორმისაა. იპოვეთ მართკუთხედის გვერდები, თუ ისინი ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2 : 3, ხოლო პერიმეტრი უდრის 60მ-ს

ამოცანა № 3

ეკლესიის კორპუსის ქვემოთა ნაწილი სახურავის საწყისამდე წარმოადგენს მართკუთხა პარალელეპიპედს. იპოვეთ ამ პარალელეპიპედის მოცულობა, თუ სიმაღლე 7მ-ია, სიგრძე -5 მ., ხოლო სიგანე - 3მ.

ამოცანა № 4

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ჭერის მკლავის ფრონტონი (შენობის ფასადის ზედა სამკუთხა ნაწილი) ტოლფერდა სამკუთხედია, რომლის ფუძე 6 მ-ია, ხოლო ფერდი-4 მ. იპოვეთ ამ სამკუთხედის პერიმეტრი.

ამოცანა № 5

დიდი ტაძრის ოთხივე კუთხის ოთახებში გადასასვლელი ნიშების იატაკს წრიული ფორმა აქვს, რომლის რადიუსი უდრის 25 სმ. იპოვეთ ამ წრის ფართობი.

საშინაო დავალება:
ამოცანა №6

იმერეთის სამეფოს XV-XVIII საუკუნეების დროშა არის მართკუთხედის ფორმის თეთრი სპეტაკი ქსოვილი. დროშის სიგანის შეჯარდება სიგრძესთან არის 3:5. იპოვეთ დროშის ზომების სიგრძე, სიგანე, თუ დროშის ფართობი არის 60დმ.2

„გაღმა ნაპირი“

18 ტკივილიანი წელი გვაშორებს აფხაზეთს, მაგრამ ერთი წუთითაც არ წყდება ფიქრი მშობლიურ მხარეში დაბრუნებაზე, ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიებაზე. ამის ნათელი დასტურია რეჟისორ **გიორგი ოვაშვილის** საოცრად ნათელი და დღევანდელი ცხოვრებისეული რეალობის ამსახველი ფილმი „გაღმა ნაპირი“, რომლის განხილვაც შედგა ამა წლის 6 აპრილს კლუბში „ფრონტლაინ ჯორჯია“. ღონისძიებას უძღვებოდნენ: **თამარ კინწურაშვილი** – პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს თავმჯდომარე და კინომცოდნე **ნინო დანელია**.

ფილმის განხილვაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დალი ხომერიკი**, სოხუმიდან დევნილი მწერალი **გურამ ოდიშარია**, ფილმის რეჟისორი **გიორგი ოვაშვილი**, აფხაზეთელი ბლოგერი **გიორგი ჯახაია**, აფხაზი ჟურნალისტი **ირმა ოსია**, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები: **ანდრო თორია, თამარ ინალიშვილი, ირაკლი მიქიანი, სალომე თავზარაშვილი, ნინო ვეკუა**; უცხოეთიდან ჩამოსული ქართველი კინოხელოვანები, ხელოვნების წამყვანი სპეციალისტები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე დასმულ იქნა მრავალი შეკითხვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების საკითხებზე, რომლებსაც ძალზე საინტერესოდ და გახსნილად გაეცა პასუხი. გიორგი ოვაშვილმა ისაუბრა, თუ საიდან გაჩნდა ფილმის გადაღების იდეა და როგორ განახორციელა ეს იდეა იმისთვის, რომ ახალმა თაობამ გაითავისოს, რაც მოხდა და ჰქონდეს საკუთარი ხედვა, არსებული რეალობიდან გამომდინარე.

„ჩვენი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება არის სამშვიდობო განათლება, – განაცხადა ქალბატონმა დალი ხომერიკმა, – *საჭიროა ახალგაზრდებმა გაითავისონ, რა ქმნის ამ მშვიდობას. ჩვენ ყოველდღიურად გვიხდება შეხება გაღმა ნაპირთან, იმიტომ რომ 31 საჯარო სკოლა გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ფილმის მთავარი მოქმედი გმირის – 12 წლის თედოს სულიერი განცდები სრულად ესადაგება როგორც გამოღმა, ისე გაღმა ნაპირზე დარჩენილი ჩვენი მოზარდების ინდივიდუალურ მისწრაფებებს“.*

„უნდა დავინახოთ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები აფხაზებთან მიმართებაში – აღნიშნა ბატონმა გურამ ოდიშარიამ, – *უფრო მჭიდრო ურთიერთობა უნდა დავამყაროთ აფხაზ ხალხთან, აფხაზეთიდან დევნილი იმ ადამიანების ხელშეწყობით, რომლებსაც ისინი პატივს სცემენ და ენდობიან. ნდობის აღდგენა უპირველესი ფაქტორია ჩვენს მიწაწყალზე ღირსეული დაბრუნებისა.*

ყველა აფხაზს წაკითხული აქვს ჩემი წიგნი „აფხაზეთში დაბრუნება“, რასაც ქართველებზე ვერ ვიტყოდი. ისინი მიესალმებიან თითოეულ დადებით სიტყვას, რაც აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრულ ურთიერთობებსა და სიყვარულს შეეხება.

მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებას.“

გიორგი ჯახაია: *„აფხაზები ონლაინრეჟიმში გველაპარაკებიან ქართველებს, აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში.*

ომით და ძალით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. მხოლოდ მშვიდობით უნდა დავიბრუნოთ. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ საერთო ენა არ გვაქვს. ჩვენმა თინეიჯერებმა არ იციან აფხაზური ენა, მათ კი – ქართული“.

აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრებმა მადლობა გადაუხადეს გიორგი ოვაშვილს და აღნიშნეს, რომ ამ ფილმმა დაანახა ის დიდი სიყვარული, რომლითაც მათი თაობა აფხაზეთში დაბრუნებას შეძლებს.

„ფილმის მთავარი გმირი თედო ცდილობს, აღადგინოს ომის შედეგად დანგრეული ოჯახი, რომლის მსხვერპლიც გამხდარა, თვითონ დაიცვას საკუთარი უფლებები, დაიბრუნოს საკუთარი თავის რწმენა და იმედი. იცხოვროს თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად მშვიდობიანად.

ფილმის ბოლოს თედო ყოველგვარ შიშს სძლევს და აფხაზ ბოევიკებთან ერთად თავდავიწყებით ცეკვავს. მასში მთელი ჩვენი თაობის შინაგანი ძალა და სიცოცხლის წყურვილია გამოხატული. თვალდახუჭული თედო იმ ლამაზსა და მზის სხივებით გაბრწყინებულ თავისუფალ სამყაროს ხედავს, რომელზედაც დღეს ყველა ჩვენი თანატოლი ოცნებობს“.

შეხვედრის დასასრულს მოეწყო ინკლუზიური მოზარდების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და ფილმში დასმულ პრობლემურ საკითხებზე საინტერესო პოლემიკისათვის.

ნონა ბერაია

თვალსაზრისი

განათლების რეფორმის შუქჩრდილები

ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და განათლების საქმე უპირველესი ზრუნვის საგანია ყოველ სახელმწიფოში, მით უმეტეს ისეთი ისტორიის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა!

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოთა შორის საქართველოც საგანმანათლებლო რეფორმის ძირეული განხორციელების აუცილებლობის წინაშე დადგა.

პედაგოგია ის ძალა, რომელმაც, ღირსეულ სასწავლო სახელმძღვანელოსთან ერთად, პრაქტიკულად უნდა განახორციელოს სკოლის რეფორმა. მასწავლებელია, ერთდროულად, რეფორმის სუბიექტი და ობიექტი, რომელმაც ახალგაზრდობა უფრო ძლიერი ქვეყნის მშენებელ საიმედო ძალად უნდა აღზარდოს.

ყველა საგანში, განსაკუთრებით კი გეოგრაფიაში, მოსწავლეს ისეთი სახელმძღვანელო სჭირდება, რომელიც ღრმად გააცნობს სამშობლოს – საქართველოს და სხვა ქვეყნებს, მისცემს ფართო განათლებას. 2010 წელს პირველად გამოიცა VIII კლასის სახელმძღვანელო „საქართველოსა და მსოფლიოს გეოგრაფია“ (ავტორები: დ. კერესელიძე, მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია), რომელიც, ჩემი აზრით, თემატურად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს წინაშე მდგარ მოთხოვნებს. თუმცა, გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა და ამ საგნის ყველა მასწავლებლის აზრს გამოვხატავ, რომ მისი სწავლებისათვის გათვალისწინებული ყოველკვირეული 1,5 აკადემიური საათი ცოტაა. 3 თუ არა, 2 საათი მაინცაა საჭირო 320-გვერდიან სახელმძღვანელოში მოცემული პროგრამული მასალის საფუძვლიანად შესწავლისათვის (თან ახლავს დავალებების, ამოცანების, სავარჯიშოების, კონტურული რუკების შევსება-შესრულება და მრავალი სახის ფიზიკურ-პოლიტიკური რუკის შესწავლა-გამოყენება). თუ ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს ეს სამართლიანი აუცილებლობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომ რატომ არ იზრუნა ამაზე? თუ სახელმძღვანელოს გრიფი მიანიჭა, საჭირო რაოდენობის კვირეული დატვირთვა მიეცა მისი მოცულობის შესაბამისი მასალის საფუძვლიანი შესწავლისათვის, რაც ახალ სასწავლო წელს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საკითხავია, XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო – „გლობალური პრობლემების გეოგრაფია“, 2010-2011 სასწავლო წლისათვის, რატომ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან, მაშინ როცა XII კლასის 8 საგამოცდო საგანთა შორის გეოგრაფიაცაა გათვალისწინებული და კვირაში აბიტურის ერთი აკადემიური საათია დათმობილი, ნაცვლად სამი საათისა.

IX კლასის „საქართველოს გეოგრაფიის“ 156-ე გვერდზე და XI კლასის „მსოფლიოს გეოგრაფიის“ 70-ე გვერდზე კვლავ რჩება მეტად მცდარი, მეცნიერული შეცდომა – „მსოფლიოში 14 დამწერლობაა“, ნაცვლად 14 ანბანისა. აღნიშნული მტკივნეული შეცდომის გამოსასწორებლად პრესაში სამი წერილი გამოვაქვეყნეთ, წერილობით მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მაგრამ სახელმძღვანელოების ავტორებმა ყურად არ იღეს ჩვენი სამართლიანი შენიშვნები. საინტერესოა, ნუთუ ისინი – წიგნების ავტორები – არ იცნობენ საქვეყნოდ ცნობილ ენათმეცნიერთა: აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის, პროფესორ შოთა ძიძიგურის, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძისა და სხვათა მეცნიერულ შრომებს?!

საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოში უნდა გაძლიერდეს მხარეთმცოდნეობითი მასალა. არ შეიძლება მოსწავლის ცოდნა არ გავამდიდროთ კახეთის, ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მესხეთ-ჯავახეთის, აჭარის, აფხაზეთისა და გურიის ბუნების ცოდნით, მოსახლეობაში დამკვიდრებული ყოფითი ელემენტებით, თუ რა ცვლილებები განიცადა საქართველოს მეურნეობის ცალკეულმა დარგებმა, ქალაქებმა და სოფლებმა, როგორ ამაღლდა განათლებისა და კულტურის დონე.

საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის ახალგაზრდებს უფრო საფუძვლიანად შევასწავლოთ ჩვენი ქვეყნის ბუნება და ეკონომიკა, შევაყვაროთ სამშობლო. მათ უნდა იცოდნენ, რომ ბუნების დაცვის საზოგადოება პირველად საქართველოში შეიქმნა.

XI კლასის „მსოფლიოს გეოგრაფიის“ პროგრამული მასალიდან, ბოლო წლებში, ამოიღეს ისეთი დიდი ქვეყნების შესწავლა, როგორიცაა: ინდონეზია (220 000 000 მცხოვრები), პაკისტანი (170 000 000 მცხოვრები), ვიეტნამი, ირანი, მექსიკა, არგენტინა, სუდანი, ყაზახეთი.

მეტად სავალალოა ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს საშუალება არ აქვს შვილს სახელმძღვანელო, რუკა ან ატლასი შეუძინოს, ვინაიდან სასწავლო ნივთები, სახელმძღვანელოები მეტად ძვირი ღირს. წიგნი ისე იაფი უნდა იყოს, რომ მისი შეძენა ყველა ოჯახმა შეძლოს. ამიტომ წიგნის გამოცემა, სკოლამდე მისი მიტანა, გაყიდვა სახელმწიფომ უნდა ითავოს, კონკრეტულად – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნას კვალიფიციური სამმართველო, რომელიც ამ მნიშვნელოვან საკითხს მოაგვარებს და არ იყოს ეს საქმე ფულის მომხვეჭელების ხელში. იცით, ბატონებო! მოსწავლეთა ნახევარს სახელმძღვანელო არ აქვს, შეამონმეთ და გაიგებთ სინამდვილეს.

არახალია, რომ მოსწავლეთა წერითი და ზეპირი ცოდნის შემოწმება-შეფასება პედაგოგიური პროცესის აუცილებელი ნაწილია. ნიშნის ხელოვნურად დაკლება ან მომატება წარმოადგენს არა მარტო პედაგოგიური ხასიათის დანაშაულს, არამედ ანტიპედაგოგიურ მოქმედებასაც, რომელიც სახელმწიფოებრივ დანაშაულსაც უდრის.

სამწუხაროდ, მოსწავლეთა ერთი ნაწილის (ზედა კლასებში) წერითი კულტურა, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი ისე დაბალია, რომ უშეცდომოდ საკუთარ ავტობიოგრაფიას, საქმიან დოკუმენტებს ვერ დაგიწერს. ეს ჩვენი სკოლის პრობლემური საკითხია.

სანამ მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საკითხი არ მოგვარდება, მანამდე მოსწავლეთა რეპეტიტორებთან გადინება არ შეწყდება, ამას ვერც ერთი მანდატური ვერ გამოასწორებს.

სკოლის რეფორმა ითვალისწინებს საგაკვეთილო სტრუქტურის ძირეულ ცვლილებებსაც. საჭიროა საკლასო ოთახიდან გავიდეთ ბუნებაში. საჭიროების შემთხვევაში, საგნისა და მასალის, თემის გათვალისწინებით, იქ ჩავატაროთ გაკვეთილი: ბიოლოგებმა და გეოგრაფებმა მდინარისა და ზღვის-ტბის, ციხე-სიმაგრეების, მუზეუმების დათვალიერება-შესწავლის მიზნით. ასეთ მუშაობას მასწავლებელთა ერთი ნაწილი თავს არიდებს, ვინაიდან ეს დიდ შრომას მოითხოვს.

მინდა ჩემი პირადი მოსაზრება გამოვთქვა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №395 დადგენილების – „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ – თუ როგორ უარყოფითად იმოქმედა ამ დადგენილებამ, კონკრეტულად, იმ საჯარო სკოლების ფინანსურ ბიუჯეტზე, რომელთა მოსწავლეთა კონტინგენტი სამასამდეა. მათი ბიუჯეტი შემცირდა, რამაც გამოიწვია პარალელური კლასების (2-3 კლასის) შეერთება ერთ კლასად, რის გამოც შემცირდა საათების რაოდენობა, მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა და შესაბამისად, ხელფასი სასწავლო წლის მეორე ნახევარში. ე.ი. მასწავლებელს, სექტემბრის თვიდან იანვრამდე, მეტი ხელფასი ჰქონდა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, 2011 წლის იანვარში ხელფასი შეუმცირდა, რაც კანონის უხეში დარღვევაა. ანალოგიურად შემცირდა ფინანსური კლასები დიდკომპლექტიან სკოლებშიც. ბატონებო! გადასინჯეთ მასწავლებელთა ხელფასების უწყისები: 180-150-100-60 ლარია მათი ყოველი თვის ხელფასი. ამყოფინეთ სინათლის, გაზის, წყლის გადასახადს, წამალს, ჰიგიენის საშუალებებს და რა რჩება „სურსათის შესაძენად“? შიმშილი!

კიდევ მეტი, კლასების შეერთებით (IX-X კლასების) მოსწავლეთა რაოდენობა 40-მდე აღწევს, რაც აძნელებს პროგრამული მასალის ათვისების ხარისხიანობას. კანონით, კლასში 25 მოსწავლეზე მეტი თუ არის, კლასი იყოფა.

საკამათო კიდევ ბევრია სასკოლო რეფორმის მტკივნეული საკითხების ირგვლივ, მაგრამ ამას თვით ცხოვრება განსჯის. არ გვინდა განათლება ცოდნის გარეშე. განათლების რეფორმა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სამართლიანი და წამახალისებელი (ჯილდოები, დამსახურებული მასწავლებლის წოდება...) სისტემის დამკვიდრებას მოითხოვს, მაგრამ ხელისუფლებას ჯერჯერობით ავიწყდება, რომ პედაგოგიურ შრომაში წარჩინებული პედაგოგები სიყვარულს, ქებასა და სახელს იმსახურებდნენ. თუმცა, სკოლის ყოველგვარი რეფორმა, განათლება მასწავლებლით იწყება!

დროა, განათლება პრიორიტეტი იყოს საქართველოში.

ბატონებო! წერილის ავტორს არ ავიწყდება, კარგად აცნობიერებს განათლების დარგში მიღწეულ წარმატებებს: IV-XI კლასებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და XII კლასში გამოსაშვები გამოცდების აღდგენა, სასკოლო შენობების აგება და კაპიტალური რემონტი, ახალი, თანამედროვე ინვენტარით მომარაგება, სხვა მრავალი, მაგრამ ნაკლოვანებაც უნდა დავინახოთ, ვამხილოთ, გამოვასწოროთ, რომ განათლების რეფორმა სწორ, ახლებურ მოთხოვნათა გზაზე დავაყენოთ.

ვახტანგ მაკარაძე
ხელვაჩაურის რაიონის ფერიის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

საგანმანათლებლო კერა

სასულიერო სასწავლებელი

ლია გაგუნია
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

გურამ გაგუნია
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი



სასულიერო განათლების ერთ-ერთ ძირითად კერას საქართველოში სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მთავრობა და უწმინდესი სინოდი დასავლეთ საქართველოში სასულიერო განათლებით დაინტერესებას უწყობდა ხელს. ღარიბ მოსწავლეებს უფასო სწავლებით იზიდავდნენ და სასწავლებლის ბიუჯეტიდან გაღებული თანხით აფინანსებდნენ. ამას ხელს უწყობდა მოსახლეობის დაინტერესებაც, რადგან აქ, ძირითადად, სწავლა-განათლებას მშობლიურ – ქართულ ენაზე იღებდნენ.

ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის არსებობა 1821 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო, იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონის ინიციატივით. პირველად სამრევლო კლასის პირველი ჯგუფი ნაქირავებ ბინაში მოათავსეს. სასწავლებლის ზედამხედველად და რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა მიხეილ კოლოუბინსკი. 1822 წლისათვის პირველ კლასში უკვე 82 მოსწავლე იყო, მათგან უმრავლესობა – მაღალი მოსწრებისა, ამიტომ ამავე წელს დღის წესრიგში დადგა მეორე კლასის გახსნის საკითხი.

1822 წლის 14 მარტის ცირკულარი გვამცნობს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა დანიელ გოლუბევი, ხოლო კოლოუბინსკი გადაიყვანეს რუსული ენის მასწავლებლად მეორე კლასში. პირველი კლასის მასწავლებლად გამოიგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიის სიტყვიერების კლასის მოსწავლე პანტელეიმონ წინამძღვრიშვილი. ქართული ენის მასწავლებლად სოფრონმა დანიშნა არქიდიაკონი ანტონი, ხოლო საღვთო სჯულის მასწავლებლად – დანიელ გოლუბევი.

„1822 წლისათვის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უმდაბლეს განყოფილებაში ირიცხებოდა 18 მოსწავლე, უმაღლეს განყოფილებაში – 20, სულ – 38 მოსწავლე. მათ შორის სასულიერო უწყების შვილები –17, სხვადასხვა უწყებისა – 21“.

იმავე წელს ონის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად გადაყვანილ იქნა პანტელეიმონ წინამძღვაროვი. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდნენ: დავით ფურცელაძე, იოვანე სავანელი და ანტონ დიაკონი.

1829 წლის 3 აგვისტოს განკარგულებით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაემორჩილა თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას. ამ დროს სასწავლებელს მიხეილ კანდელაკოვი ზედამხედველობდა.

1830 წელს არქიეპისკოპოსმა სოფრონმა და ზედამხედველმა გოლუბევმა თხოვნით მიმართეს სემინარიის მმართველობას, რომ საჭიროდ მიაჩნდათ, სასწავლებელთან გახსნილიყო მეოთხე კლასი, რომელშიც ეკლესიის მსახურთა შვილები მხოლოდ ქართულ ენაზე შეისწავლიდნენ საღვთისმეტყველო საგნებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ქართულ ენაზე სწავლა იშვიათობა იყო. განცხადებას პასუხი არ მოჰყოლია. ამავე წელს სასწავლებლის ზედამხედველს გოლუბევსა და მასწავლებლებს – სიმონ დადიანიძესა და ნიკოლოზ ქუთათელაძეს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ისინი გოლუბევს მექრთამეობაში სდებდნენ ბრალს.

1841 წელს სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა ივანე გონგესოვი. მან ეგზარქოსის წინაშე დასვა საკითხი სასწავლებლისათვის „ბურსას“ მშენებლობის შესახებ. *„სემინარიის მმართველობამ „ბურსას“ მშენებლობისათვის 600 მანეთი ვერცხლით გამოყო, რათა საბოლოოდ დაესრულებინათ შენობა. მშენებლობა დაიწყო იმავე წელს და დამთავრდა 1842 წლისათვის“.*

„ბურსა“ იყო სასწავლებელთან მოწყობილი საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, სასულიერო პირთა შვილებისათვის. ზოგჯერ შეიძლებოდა დაეშვათ გამონაკლისი ძალიან ნიჭიერთათვის. საარქივო მასალები ადასტურებს ვინმე გლეხის შვილის ცხოვრებას „ბურსაში“, სადაც ყველა მოსწავლე სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებოდა.

1847 წლის 24 აგვისტოს, მაშინ, როცა ონის სასულიერო სასწავლებელი გაუქმდა, მთელი მისი ინვენტარი და სხვა ნივთები ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს გადაეცა. აგრეთვე ქუთაისში გადმოიყვანეს მასწავლებლები – პოკროვსკი და კანდელაკი.

სასულიერო სასწავლებელში, მოსწავლეთა კონტინგენტის დიდი რაოდენობის გამო, ბევრჯერ დაისვა საკითხი მეორე სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. მაშინდელი პრესა აჭრელებული იყო წერილებით სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა დიდი რაოდენობისა და ამ სასწავლებლის მოუწყობლობის შესახებ. მიუთითებდნენ აქ დამკვიდრებულ საოცარ უწესრიგობასა და არეულობაზე, როგორც თვით სასწავლებელში, ასევე მის პანსიონსა და საავადმყოფოშიც. გაზეთი „ივერია“ მკაცრად აკრიტიკებდა უფუნქციო საავადმყოფოს და უამრავი მაგალითი მოჰქონდა ავადმყოფ მოსწავლეთა მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის შესახებ. ექიმები კერძო პრაქტიკით უფრო იყვნენ დაკავებულნი და ნაკლებად იცლიდნენ ავადმყოფი მოსწავლეებისათვის.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დიდი იყო სასულიერო სასწავლებელში შემსვლელთა რიცხვი. ამას ხელი შეუწყო სასულიერო სემინარიის გაუქმებამაც. ამასთან დაკავშირებით, სემინარიის ინვენტარი და მთელი მისი მოწყობილობა სასწავლებლის განმგებლობაში გადმოვიდა. განსაკუთრებით ფასეული იყო წიგნადი ფონდი.

1853 წელს სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა გიორგი ხელიძე. ის სუსტი ხელმძღვანელი აღმოჩნდა და ცდილობდა, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯით დაეფარა საკუთარი ნაკლი. სასულიერო სასწავლებელს ღირსეული ხელმძღვანელებიც ჰყავდა, მაგრამ ხშირად მექრთამეები და მძარცველები იგდებდნენ სკოლის მმართველობას ხელში. ასეთი ზედამხედველები მშობელთა კრებებზე ყოველთვის ერთსა და იმავე საკითხებზე საუბრობდნენ. მათი სიტყვით, თითქოს სასწავლებლის საქმე დღითი დღე უმჯობესდებოდა. ისე კი, ცხადად ჩანდა, რომ პირიქით ხდებოდა და მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. არავინ იცოდა, რისთვის იხარჯებოდა შემოსული თანხები. ამის გარკვევა და სასწავლებელში იდეალური წესრიგის დამყარება ნიკოლოზ ტატიშვილის ინსპექტორად დანიშვნის შემდეგ მოხერხდა. იგი ყოფილა განათლებული, ნიჭიერი და ანგარიშიანი პიროვნება. ზედმიწევნით პუნქტუალურად წარმართავდა სასწავლებლის ხარჯებთან დაკავშირებულ ფინანსებს, ებრძოდა ყოველგვარ ბუნდოვანებას. მაშინდელ პრესაში დადებითადაა შეფასებული ნიკოლოზ ტატიშვილის საქმიანობა. ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებიდან მთელი სამღვდელოება სიხარულს გამოთქვამდა ასეთი კაცის დანიშვნის გამო, რადგან იმ ტანჯვით შეკრებილ მანეთებს, რომელსაც სამღვდელოება სასულიერო სასწავლებლისათვის გაიღებდა, ინსპექტორი გაიყოლებდა ხოლმე. ეს კი, იმერეთის სამღვდელოების, სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მშობლების მუდმივ უკმაყოფილებას იწვევდა.

ნ. ტატიშვილმა გაამართლა იმერეთის სამღვდელოების იმედები. მისი მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ: რუსული ენის მასწავლებელზე დაიხარჯა 3465 მანეთი; შუშაში – 300 მანეთი; მოსამსახურეებზე – 200 მანეთი; ერისკაცის შვილების სასწავლო ფული შემოვიდა 1876-1881 – წლებში 9432 მანეთი და სხვ. ამასთან ერთად ვხვდებით ასეთ ინფორმაციასაც: *„1882 წლიდან გადატანილი არის დანარჩენი ფული 1883 წელში კრედიტის ბილეთებით. 1883 წელში შემოვიდა 27.772 მან. და 11 კაპ., დაიხარჯა 14.242 მან. და 25 კაპ. ამას გვაუწყებს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნიკოლოზ ტატიევი, თანაშემწე ივანე გაფრინდაშვილი.“*

ეს ყველაფერი ხდებოდა იმ ფონზე, როცა რამდენიმე ზედამხედველს დაატოვებინეს თანამდებობა. მათ შორის იყო ა. ფხაკაძეც. ეს ნახევრად შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი მფლანგველი, ადგილობრივმა მმართველობამ ძალით მოაცილა სასულიერო სასწავლებელს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დიდხანს სუფევდა არაჯანსაღი ატმოსფერო. ეს ნათლად ჩანს უამრავ მოგონებაში, რომელთა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში აღნიშნულ სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო დონეზე არ იდგა. ამას თბილისის სასულიერო სემინარიის მიმართვაც ადასტურებს.

მდგომარეობა სასულიერო სასწავლებელში მხოლოდ მას შემდეგ გამოკეთდა, რაც ეპარქიას სათავეში ჩაუდგა გაბრიელ ეპისკოპოსი. მისი თაოსნობით, 1863 წელს, განთავისუფლდა ზედამხედველი გიორგი ხელიძე და მისი ადგილი კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა გერასიმე კალანდარიშვილმა დაიკავა. ამ პერიოდში ყურადღება ექცეოდა ქართული ენის მაღალ დონეზე სწავლებას და რუსი მასწავლებლებისათვის ქართული ენის აუცილებელ ცოდნასაც.

სასულიერო სასწავლებელი ემორჩილებოდა საქართველოს ეგზარქატს და მისი მეშვეობით, უწმინდეს სინოდს. იყო ოთხკლასიანი სასწავლო დაწესებულება, ოთხწლიანი სწავლების კურსით.

ამ სასწავლებელს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ: მიხეილ კოლოუბინსკი, დანიელ გოლუბევი, ივანე გონგესოვი, გიორგი ხელიძე, ალექსანდრე ფხაკაძე, ნიკოლოზ ტატიშვილი და სხვები.

1872 წელს იმერეთის სამღვდელოებას გადაუწყვეტია, რომ ცამეტი ათასი მანეთი შეეტანა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახად. სამღვდელოების ასეთი გარჯით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ, პირველ რიგში, სასწავლებელში სასულიერო პირთა შვილები ირიცხებოდნენ. მხოლოდ ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, შეეძლოთ საერო პირთა შვილების ჩარიცხვა. ამ საკითხს სამმართველო წყვეტდა. მიღებისას ბავშვების სამედიცინო შემოწმებაც ხდებოდა. ამას აგვარებდა სასამართლო, ანუ განმწესებელი სხდომა, რომელიც თვითონ სასამართლოში არსებობდა. მოსწავლე იმდენად ჯანსაღი უნდა ყოფილიყო, რომ შეძლებოდა მძიმე და აუტანელი ფიზიკური შრომის გაძლება, ყველა იმ რიტუალის შესრულება, რომელიც სწავლის დამთავრების შემდეგაც ელოდა.

წლების განმავლობაში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა კონტინგენტი ასე გამოიყურებოდა:

1892 წელს აქ სწავლობდა 551 მოსწავლე, 1893 წელს – 596, 1894 წელს – 623, 1895 წელს – 619, 1896 წელს – 617, 1897 წელს – 634, 1898 წელს – 619, 1900 წელს – 557, 1901 წელს – 550, 1903 წელს – 575, 1905 წელს – 207, 1907 წელს – 274, 1908 წელს – 209, 1909 წელს – 220, 1911 წელს – 262, 1912 წელს – 262, 1913 წელს კი – 288.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის სასწავლო სისტემაში დაბრუნებასა და მტკიცედ დანერგვაში. აქ, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაძლიერების მიზნით, პირველად, რუსი ეროვნების მასწავლებლებისათვის სავალდებულოდ იქნა მიჩნეული ქართული ენის ცოდნა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა მრავალრიცხოვანი კადრი აღუზარდა დასავლეთ საქართველოს. შემდეგ ისინი ასწავლიდნენ ახალგაზრდებს, არა მარტო როგორც სასულიერო პირები, არამედ როგორც პედაგოგები და დიდი წვლილი შეჰქონდათ მათი განათლების საქმეში.

ბერძნული მითების სამყაროში

ფესტივალ „ოლიმპოს მწვერვალის“ ფარგლებში, 13 აპრილს, ჩატარდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის საზეიმო დახურვა. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და წიგნები სკოლა „ოლიმპის“ ადმინისტრაციისა და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისაგან.

გამოფენის ორგანიზატორი სკოლა „ოლიმპი“ მიზნად ისახავდა, მოსწავლეებში მსოფლიო კულტურის საგანძურის – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და ცოდნის გაღრმავების წახალისებას.

გამოფენაში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის №55, №72, №52, №23, №28, №153 საჯარო სკოლების, ასევე, სკოლა „ოლიმპისა“ და სკოლა „კანდიდის“მოსწავლეები. წარმოდგენილი იყო ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, პასტელით, აკვარელით შესრულებული ნახატები, ასევე, თიხისა და პლასტილინისაგან გამოძერწილი კომპოზიციები. სკოლა „ოლიმპის“ მოსწავლეებმა, პედაგოგების – **მაია გიგაურისა** და **ლელა ფანჯიკიძის** ხელმძღვანელობით, წარმოადგინეს თექის ნაკეთობები.

გამოფენის თემატიკა განისაზღვრა ძველი ბერძნული მითების სამყაროთი: ოლიმპიელი ღმერთები; მითოსური გმირები და მათთან დაკავშირებული ეპიზოდები; მითოსური ციკლები: ტროას ომი, არგონავტებისა და თებეს ციკლის თქმულებები; პიგმალიონი, იკაროსი, პრომეთე, პერსევსი და სხვა მითოსური პერსონალიები ასახეს მოსწავლეებმა თავიანთ ნამუშევრებში. წარმოადგინეს, ასევე, ძველი ბერძნული ორნამენტები და ჭურჭელი (ლარნაკები, დოქები). ექსპოზიცია „ოლიმპის“ სააქტო დარბაზსა და ფოიეში იყო წარმოდგენილი.

სკოლა „ოლიმპის“ მოსწავლეები გამოფენის მონაწილეების წინაშე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიციით, ბერძნული სიმღერებითა და ცეკვებით წარდგნენ.





სტუმრად პრეზიდენტის სასახლეში

არ მეგულება საქართველოში ბავშვი, რომელსაც ერთხელ მაინც არ უოცნებია, თუნდაც ცალი თვალით მაინც შეეჭყიტა იმ დიდი, ჩვენი ქალაქისთვის უჩვეულო არქიტექტურის მქონე შენობის შიგნით, რომელსაც პრეზიდენტის სასახლე ჰქვია.

რა თქმა უნდა, არც მე და ჩემი თანასკოლელები ვყოფილვართ ამ მხრივ გამონაკლისები, თუმცა, ამ ოცნების ასრულება ცოტა არ იყოს მიუწვდომლად გვეჩვენებოდა.

ჩვენს სკოლაში დამკვიდრებული წესია, რომ ყველა მოსწავლეს, ვინც კი რაიმეს შემეცნებითა და ახლის გაგებითაა დაინტერესებული, შეუძლია მიმართოს დირექტორს. თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება და აუცილებლად შესრულდება. ალბათ, ამ უკვე დამკვიდრებულმა წესმა განაპირობა ის, რომ უფროსკლასელებმა მივმართეთ დირექტორს თხოვნით, იქნებ მოეხერხებინა ჩვენთვის პრეზიდენტის სასახლეში ვიზიტი.

განათლების სამინისტროში არის პროგრამა, რომელიც ამგვარ ვიზიტებს უწევს ორგანიზებას. მალე კიდევაც დავუკავშირდით ამ პროგრამის ხელმძღვანელს, ქალბატონ **ეთერ გველესიანს** და, მისი გულისხმიერების წყალობით, ჩვენი ვიზიტის დღეც დაინიშნა.

უკვე სასახლის შესასვლელთან ვდგავართ. რა თქმა უნდა, ვღელავთ. პასუხისმგებლობის გრძნობაც დიდია. ხუმრობა ხომ არ არის, საქართველოს პირველი პირის რეზიდენცია უნდა მოვინახულოთ. ცნობისმოყვარეობაც არ გვასვენებს. ყველას გვაინტერესებს, როგორია სინამდვილეში ის შენობა, რომლის შესახებ ამდენი რამ წაგვიკითხავს და გვინახავს.

ჩვენი ექსკურსიამძღოლი, ქალბატონი გიული, ფრიად მეგობრული და საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა და, რაც მთავარია, თავის საქმეს შესანიშნავად ასრულებდა. ყველა მაქსიმალურად ცდილობდა, ჩვენთვის ეს უბრალო ექსკურსია არ ყოფილიყო, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და სიამოვნება მიგვეღო.

ექსკურსია ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში მოვინახულეთ სასახლის ფასადი. ქალბატონმა გიულიმ გაგვაცნო ფასადზე შესრულებული მოზაიკა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმით, რომელიც ქართველი მხატვრის, **ნატალი ამირეჯიბის** შესრულებულია. სასახლის უკანა მხარეს კი, მოვინახულეთ იმავე მხატვრის მიერ შესრულებული წყლის სარკე – მოზაიკური კომპოზიცია, სახელწოდებით „ვინ ვართ, საიდან მოვდივართ“.

მეორე ნაწილი თავად სასახლის დათვალიერებას დაეთმო. მოვინახულეთ: შესასვლელი ნაწილი, საჩუქრების ოთახი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზი და ექსკურსიის კულმინაცია – სასახლის მეოთხე სართული, ე.წ. გუმბათი, რომელმაც ჩემი და ალბათ სხვა ბავშვების აღფრთოვანება ყველაზე მეტად დაიმსახურა. ძველი თბილისის ხედი გუმბათიდან უმშვენიერესი იყო, ხოლო მინის კონსტრუქციაზე მდგომებს ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ჰაერში ვიდექით. გუმბათზე ასვლა ერთგვარი განტვირთვა იყო ჩვენთვის, ვიზიტორებისთვის – მოგეხსენებათ, ბევრი ინფორმაციითა და თვალსაჩინოებით აღსავსე ექსკურსია საკმაოდ დამღლელია.

მახსოვს, გუმბათიდან ჩამოსვლა არ გვინდოდა. გვეგონა, ეს იყო ჩვენი ვიზიტის ბოლო სიურპრიზი, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა. დასასრულს კიდევ გველოდა ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა. სასახლის ადმინისტრაციის შენობაში გადასულებს, როცა გვეგონა, რომ უკვე სასახლის ტერიტორიას ვტოვებდით, მოულოდნელად კოხტად და ლამაზად გაშლილი მაგიდები შემოგვეგება. ეს იყო მსუბუქი სადილი, რომელიც, თურმე, თავად პრეზიდენტის ბრძანებით, ვიზიტორთა ყველა ჯგუფისთვის ეწყობა. თუ რა სიამოვნება მივიღეთ სადილობის დროს, მგონი, რთული წარმოსადგენი არ არის. საჩუქრებიც დაგვხვდა გამზადებული – სუვენირები, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეში ვიზიტს გაგვახსენებს.

ეს ექსკურსია ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი დღეა ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი რატომ, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ შენობა შიგნიდან უფრო პომპეზური იქნებოდა, მდიდრულად მორთული და ფუფუნების საგნებით გაჯერებული. ქალბატონმა გიულიმ აგვიხსნა, რომ სასახლეში შესულმა პრეზიდენტმა თავი სამუშაო გარემოში უნდა იგრძნოს და არა მუზეუმში და რომ აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი, რომ პრეზიდენტმა სამუშაო დღე ნაყოფიერად გაატაროს. სწორედ სასახლის სისადავემ და დახვეწილობამ გამოიწვია ჩემში აღფრთოვანება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს არ იყო უბრალო ექსკურსია – ერთგვარი საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. საუბრები ექვთიმე თაყაიშვილზე, საქართველოს ისტორიის ფრაგმენტებზე მოსწავლეთათვის ბევრის მომცემი აღმოჩნდა. ექსკურსია ერთგვარ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ქალბატონი გიული გვეკითხებოდა საქართველოს ისტორიიდან, ჩვენ კი ვპასუხობდით და ასე საინტერესოდ გრძელდებოდა ჩვენი ვიზიტი.

მინდა აღვნიშნო, რომ სასახლის ადმინისტრაცია, მათ შორის დაცვაც, ძალიან თავაზიანად და მეგობრულად გვექცეოდა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ქვეყნის პირველი პირის სასახლეს შეეფერება. სასახლიდან წამოსვლის შემდეგ ყველასთვის ნათელი შეიქმნა, რომ თუკი რომელიმე ჩვენგანი ოცნებობს, მომავალში საქართველოს პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს, მას ამისთვის ბევრი შრომა და გარჯა მოუწევს და რომ ასეთ სასახლეში თუნდაც ერთი სამუშაო დღის გატარებასაც დამსახურება უნდა!

თამთა სეგისკვერაძე
სკოლა „სარკმელის“ მოსწავლე

მოსწავლე შემოქმედი

მაგდა სირგილაძე
ქუთაისის №8 საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე

მშობლიურ ენას

თურმე ლექსია ჩემი ცხოვრება,
ამ დროს ღმერთთან ვარ რწმენით!
მინდა ვადიდო ქართული ენა
ლამაზ ლექსების წერით!
ო, როგორ მიყვარს ენა ქართული,
მშობლიური და ჟამთა მძლეველი,
დედის ნანასთან სულში ჩართული
წინაპართ ძმობის მატარებელი.
ფიქრი პირველი, გრძნობა პირველი,
და სიყვარული ქართული ენის
ჩემი სამშობლო გასაკვირველი,
თავის მომავალ გმირს ისევ ელის.
შოთას პოემა, ილიას სიბრძნე,
აკაკის ლექსის თავდავიწყება,
ეს ყველაფერი არის სიწმინდე,
რომელიც ქართველს არ ავიწყდება!
მართლაც რა კარგი არის ქართული,
ყველა ენისგან გამორჩეული,
საუკუნეებს გადარჩენილი –
სარწმუნოება, ენა, მამული.
ულმობელია წუთისოფელი,
ოდეს ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
მომავლის რწმენით და ღმერთის ნებით,
ქართული ენა კვლავ გადარჩება.

ნინო გაგელაშვილი
ქუთაისის №8 საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე

ქართულ ენას

ქართველი კაცის
ხმლითა და ფარით შემონახული
ენა ქართული!
სადიდებელი, ჯერ არნახული.
ენა ქართული!
საყვარელი ყველა სხვაზედა
სწორედ ის ენა,
რომელზედაც წარმოვთქვი დედა.
სწორედ ის ენა,
რომელზედაც ვისწავლე ლოცვა.
სწორედ ის ენა,
რომელზედაც მღვდელმა დამლოცა.
ქართული ენა, როგორც დედაა,
ისე წმინდაა ჩემთვის,
ქართული ენა სამშობლოსათვის
რომ ფეთქავს, იმ გულს ერთვის.
ნუთუ ის ენა რომ არ გიყვარდეს,
რაზეც გიმღერეს ნანა
მშობელი ენა რომ არ გიყვარდეს,
ეს შეიძლება განა?!
ქართული ენა ჩენთვის ისევე
არის ამქვეყნად ერთი,
ვით შემოქმედი ყველაფერისა, –
გამჩენი ჩვენი ღმერთი!

მარი ხარაძე
თბილისის №201 საჯარო სკოლის
XI^ა კლასის მოსწავლე

* * *

დილის დინებით დღე დაიღალა,
ვიღაც ობოლი მიხაკებს კრეფდა.
მე დილის ვნახე ლურჯი დინება
და მისი ჩუმი გამოვლინება.

მე არ ვიყავი ობოლი, მაგრამ
ჩემი ყვავილი მიხაკებს გავდა.
ვიღაც ობოლი მიხაკებს რგავდა,
დილის დინებას სილურჯით რთავდა.

მეც მინდა დილის დინებას გავყვე,
არ მინდა ობოლს მიხაკით ვგავდე.
მეც მინდა დილას სილურჯით ვრთავდე,
არ მინდა ობლის მიხაკებს ვრგავდე.

მე არ ვეცადე სიჩუმის გახდას,
ჩემი ოცნება ამით ვერ ახდა.
როცა ვეცადე ჭის თავის ახდას,
მაშინ სილურჯეც სიყვითლე გახდა.

მე არ ვიყავი ქუჩაში მარტო,
არ შემეკითხოთ რისთვის და რატომ.
მე არ ვაპირებ სილურჯე დავთმო
და ჩემი სიტყვა სიჩუმეს ვანდო.

გიორგი ლელაძე
ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე

ზამთრის სურათი

თეთრ მთებს გავყურებ, კარგად არ მოჩანს,
ფერდობებს ნისლი ჩახუტებია,
ნამქერში ბავშვი ლოლოებს ბიჭავს,
სახლებზე თეთრი ჩაფხუტებია.

ქარი უბერავს, სუნთქვა მეკვრება
და იფანტება თოვლის კრისტალი,
სახეში თეთრი სილა მეყრება
და ეს მგონია კარგი სიზმარი.

შუბლზე მადნება ცივი ფიფქები,
თვალებზე ცრემლი გამეყინება,
გაიყინება ჩემი ფიქრებიც
და ამ ფიქრებში გამეღიმება.

თეთრ მთებზე ისევ თეთრი ნისლია
და ჩემს ხელებში ფიფქები დნება,
ჩემი ფიქრები ცაში მისვრიან,
მაგრამ არა მაქვს მე ამის ნება.

ინფორმაცია

მოვიარე საქართველო

7 აპრილს თითქოს უფრო ლამაზი დილა გათენდა, ერთმანეთს ყველა ხარების დღესასწაულს ულოცავდა. იმ დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფურცელი გადაიშალა ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის ცხოვრებაში, სკოლისა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი თითოეული მოსწავლის ნიჭის გამოვლენისა და მომავალში წარმატებული ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

სკოლასთან არსებული ხელოვნების სკოლის აღსაზრდელები და VII^დ კლასის მოსწავლეები ღონისძიებისათვის ემზადებოდნენ. გაკვეთილების შემდეგ დაიწყო საღამო „მოვიარე საქართველო“, რომლის სლოგანი იყო „სამშობლო დედად შეიცნო უნდა, თუ გსურს მის შვილად იწოდებოდე“.

სცენაზე თვალხატულა გოგო-ბიჭების ლექსები და სიმღერები ერთმანეთს ცვლიდა. დარბაზში მსხდომთა ყურს სამშობლოს სიყვარულით გამთბარი სიტყვები და საგალობლები ატკბობდა. არ შეიძლებოდა, მოგესმინა ეს მშვენიერი ჰანგები და მამულიშვილური სიყვარულის უფაქიზესი გრძნობით არ განმსჭვალულიყავი, თითქოს, ღონისძიების ხელმძღვანელებს – მუსიკის პედაგოგ **მარინე ყურმაშვილს** და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **შორენა ცინაძეს** სული და გული თან ჩაედოთ.

ერთი რამ ცხადი იყო, საღამომ „მოვიარე საქართველო“ დარბაზში მყოფ ყველა ადამიანს, დიდსა თუ პატარას, შეახსენა, რომ ის ქართველია და მისი წმინდათა წმინდა მოვალეობა მამულის დაცვაა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – დიდი ილიას სიტყვები, პატარების ბაგეთაგან მოწყვეტილი, დარბაზში ლოცვასავით ისმოდა. ღონისძიებას ალამაზებდნენ დამხმარე სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები. დასასრულს, სკოლის უხუცესმა მასწავლებელმა, ქალბატონმა **ლამარა ბერიძემ** ბავშვებს წარმატება მიულოცა და მადლიერება ლექსით გამოხატა.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ხელმძღვანელებს და მოსწავლეებს საინტერესო საღამოსათვის და კიდევ ერთხელ შეახსენა, მათი თაობის როლი ქვეყნის აღმშენებლობისა და გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვანია.

მარინა ნებაძე
ახალციხის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“

8 აპრილს, ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლაში, ჩატარდა ღონისძიება თემაზე „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“, რომელიც წარმოადგინეს III^2 კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი – **მზია კაველიძე**). ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, სასწავლო ნაწილის გამგეები, მშობლები.

ბავშვებმა საქართველოს ისტორიის თითოეული მონაკვეთი მოკლედ წარმოადგინეს. შემოვიდნენ ანთებული სანთლებით, კედლებზე გამოფენილი იყო 9 აპრილს დაღუპულთა სურათები, აგრეთვე, მომხდარი ტრაგედიის ამსახველი ფოტომასალა, წარწერით „თქვენ საქართველოს სიყვარულში დაილეწენით“... ასევე, გამოფენილი იყო აგვისტოს ომის ამსახველი სურათები, წარწერით „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს!“, ცენტრალურ კედელზე – ერთიანი საქართველოს რუკა, წარწერით „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!“.

მოსწავლეებმა გაიხსენეს საქართველოს გმირული წარსული და უახლესი ისტორიის – 2008 წლის 7 აგვისტოს – ეპიზოდები, წაიკითხეს ლექსები; პატივი მიაგეს ჩვენი კუთხის შვილებს, დაღუპულ ახალგაზრდებს – **არტემ ბალახაშვილს, ალექსანდრე ზაზაშვილს** და **ანზორ ხახუტაშვილს**.

მესამეკლასელებმა გაითამაშეს ორი ინსცენირება – 9 აპრილისადმი მიძღვნილი „თეთრი გედი“ და „კიდევაც დაიზრდებიან“, რომელიც მუსიკალურად გააფორმა მუსიკის პედაგოგმა **ნინო ნარიმანიძემ**.

სტუმრებს და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: დირექტორმა **ჟენია მერაბიშვილმა**, სასწავლო ნაწილის გამგეებმა – **მარიამ კაჭკაჭიშვილმა** და **ნანა დათაშვილმა**, IIIა კლასის ხელმძღვანელმა **მზია კაველიძემ**. სტუმართა შორის იყვნენ ახალციხის ტელევიზიის მე-9 არხის წარმომადგენლები.

იმავე დღეს პატარებმა ყვავილებით შეამკეს ახალციხის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი.

მშობლებმა ეს დღე ვიდეოფირზე აღბეჭდეს.

ოფელია აღდგომელაძე
ახალციხის №5 სკოლის პედაგოგი

ვანო ჩურჩხელაშვილი, აპოლონ ზურაბიანი, გიორგი მუზაშვილი

ჭაბუკები აღარ ხუმრობენ

ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები აღარ ხუმრობს – ჯერ იყო და ანთალიაში ჩატარებულ ევროპის თასზე იყოჩაღა, მერე კი კიევშიც წარმატებით მოიარა იმავე რანგის შეჯიბრება. ამ ასაკის ნაკრებს წარმატებები არც ადრე აკლდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საბერძნეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა მწვრთნელმა, ოლიმპიადის მედალოსანმა **გიორგი ვაზაგაშვილმაც** დაატყო თავისი ხელი. მისმა შეგირდებმა უკრაინაში 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს. თან გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ორ წონით კატეგორიაში – 73-სა და 90-ში ქართული ფინალი გაიმართა, 66-ში კი კვარცხლბეკზე ერთბაშად ოთხი ქართველი ავიდა. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **გიორგი მუზაშვილი** (66), **ლევან გუგავა** (73) და **შალვა ჩოჩელი** (90). **ბექა დონღვანი** (73) და **გურამ თუშიშვილი** (90) მეორეზე გავიდნენ, **აპოლონ ზურაბიანი**, **ვანო ჩურჩხელაშვილი** (ორივე – 66) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) – მესამეზე.

ამ ნაკრების მთავარი სამიზნეც ზაფხულში მალტურ კოტონერაში გასამართი ევროპის ჩემპიონატია. ანთალიის შეჯიბრებისგან განსხვავებით ვაზაგაშვილმა კიევში მხოლოდ ის კანდიდატები წაიყვანა, რომლებიც ნაკრების რეალურ წევრებად გამოიკვეთნენ. მისდა სასიხარულოდ, რამდენიმე წონაში ჩვენები ერთმანეთსაც შეხვდნენ, რაც არჩევანის გაკეთებას გაუადვილებს. მაგალითად, 73-ში და 90-ში, სადაც ქართული ფინალები გაიმართა და 66-ში. მწვრთნელმა 73-ში მხოლოდ უშუალო კონკურენტები – გუგავა და დონღვანი წაიყვანა. მათ ანთალიაშიც ფინალში იჭიდავეს და ახლაც. შედეგიც იდენტურია – გუგავამ ამჯერადაც მოუგო მდევარს, მანამდე კი საქართველოს პირველობაზეც დაამარცხა. ჩოჩელმა ანთალიაშიც გაიმარჯვა, თუმცა კიევში წილისყრამ უჩვეულოდ გაუმართლა – ნახევარფინალამდე უბრძოლველად გავიდა, იქ კი იუკოთი იმარჯვა. ამასობაში თუშიშვილი ბრძოლით მიიკვლევდა გზას ფინალისკენ – პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი სამ ორთაბრძოლაში სუფთად იმარჯვა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა თანაგუნდელთან ასევე წმინდად წააგო. 66-ში ქართველთა გზები ნახევარფინალში გადაიკვეთა – მუზაშვილმა ჩურჩხელაშვილს ვაზარით მოუგო. ამ წონაში ქართულ ფინალამდე ერთი მოგება დაგვაკლდა – ზურაბიანი ნახევარფინალში დამარცხდა.

ახლა ჭაბუკებს ორი საშინაო ტურნირი ელოდებათ და მწვრთნელიც ამის შემდეგ დაასახელებს მალტაში წასაყვან შემადგენლობას.

„თავისუფალი“ ჭაბუკების დიდი სამზადისი

ამ დღეებში ქუთაისმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეთა შთამბეჭდავი რაოდენობა – 290 მოზარდი მონაწილეობდა. წლეულს ჭაბუკებს ფრიად მნიშვნელოვანი სეზონი ელოდებათ – ამჯერად ევროპის პირველობას მსოფლიოს ჩემპიონატიც დაემატება. აქამდე ეს ტურნირი ორ წელიწადში იმართებოდა, ამიერიდან კი ყოველწლიურად ჩატარდება. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის უთავბოლო მმართველთა დამსახურებით, სპორტის ეს სახეობა კურიოზების სფეროდ იქცა და ასეა წლევანდელ კალენდართან დაკავშირებითაც – ევროპისა და მსოფლიოს პირველობებს შორის სულ რაღაც. 8-დღიანი შუალედია! ევროპის პირველობა 9-14 აგვისტოს ვარშავაში ტარდება, მსოფლიო – 23-28 აგვისტოს უნგრულ სომბათჰეიში.

ასეთი დატვირთვა ბავშვებში კი არა, უფროსებშიც არაა მიზანშეწონილი. თუმცა კალენდარს ახლა არავინ შეცვლის და მწვრთნელებსაც ისღა დარჩენიათ, ორ-ორი შემადგენლობა შეარჩიონ, ვინაიდან დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ორივე ტურნირზე გამოსვლა წარმოუდგენელია. არადა, ამ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია – უმეტესობა ახალგაზრდულ ნაკრებში გადავიდა. ძველი ლიდერებიდან ჭაბუკებში მხოლოდ ქარელელი **რაუფ შაკულ-ოღლი** (58), საგარეჯოელი **ბექა როჭიკაშვილი** (85) და გორელი **გენო პეტრიაშვილი** (100) დარჩნენ, რომლებსაც არ გასჭირვებიათ გამარჯვება. მათ გარდა ჩემპიონები საგარეჯოელი **გიორგი პასიკაშვილი** (42), აჭარის გუნდის წევრები – **რამაზ დარჩიძე** (46) და **შოთა ფარტენაძე** (54), თბილისელები – **შალვა ჭადაშვილი** (69) და **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), სამტრედიელი **შოთა ფანცულაია** (50) და ქუთაისელი **ომარ გურჯიძე** (63) გახდნენ. აქვე გეტყვით, რომ პეტრიაშვილმა წლეულს ახალგაზრდებშიც მოსინჯა ძალა, საქართველოს ჩემპიონატზე და მესამე ადგილზეც გავიდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში ევროპის ხუთგზის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ორგზის ოლიმპიური პრიზიორის **ლუკა კურტანიძის** ვაჟი **ნოდარ კურტანიძეც** (85) გამოვიდა და ბრინჯაო მოიპოვა.

ცხადია, ჩემპიონები ნაკრებში მოხვედრის უმთავრეს პრეტენდენტებად იქცნენ, მაგრამ მანამდე მათ კიდევ მოუწევთ საკუთარი ფავორიტობის დამტკიცება. სულ მალე ისინი ბაქოში იჭიდავებენ, მერე – თურქეთისა და ირანის ტურნირებში და შემადგენლობაც ამის შემდეგ გამოცხადდება.

ახალი თაობის მორიგი წარმატება

ქართული ფეხბურთის ახალმა თაობამ მორიგ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია – **გიორგი ჭანტურიამ** ჰოლანდიურ „ვიტესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის ყველაზე ახალგაზრდა ქართველია, ვინაც ევროპულ კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი – ის 11 აპრილს 18 წლის გახდა და ხელშეკრულებაც მაშინვე დაუდეს. კონტრაქტი დროის ამბავი იყო, რასაც აქამდე ჩვენებურის ასაკი აფერხებდა. როგორც კი სრულწლოვანი გახდა, მაშინვე გაუფორმეს პროფესიული ხელშეკრულება.

ასაკის მიუხედავად, ჭანტურია მესამე სეზონს ატარებს ევროპაში, იქაური კარიერა კი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს გრანდად შერაცხულ „ბარსელონაში“ დაიწყო. საფეხბურთო სკოლა „საბურთალოდან“ მსოფლიოს გრანდში იმხანად ესპანეთში საქართველოს ელჩის **ზურაბ პოლოლიკაშვილის** დახმარებით მოხვდა, რომელმაც მისი თამაშის ამსახველი ვიდეოები იქაურ მეგობრებს მიაწოდა, იმათაც მაშინვე შეამჩნიეს ქართველის ტალანტი და სკოლაშიც აიყვანეს, თუმცა მისი არასრულწლოვანების გამო კონტრაქტს ვერ უფორმებდნენ. ჭანტურიამ „ბარსელონას“ სხვადასხვა ასაკობრივ და დუბლშემადგენლობაში ორი საკმაოდ ნაყოფიერი სეზონი ჩაატარა, წლის დასაწყისში კი „ვიტესში“ გადავიდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმან განაპირობა, რომ არნემული კლუბის პრეზიდენტი ახლო წარსულში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი **მერაბ ჟორდანია** გახდა, რომელმაც მიზნად ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელების ევროპულ კლუბში თავმოყრა დაისახა. მათ შორის ჭანტურიაც იყო, რომელიც ჰოლანდიაშიც საკმაოდ დამაჯერებლად ასპარეზობს. ყოველ შემთხვევაში, დებიუტანტობისა არაფერი ეტყობა.

კლუბში ჭანტურიას საპატიო 11-ნომრიანი მაისური უბოძეს, მის ჩარიცხვას „ვიტესის“ ტექნიკური დირექტორი **ტედ ვან ლიუვენი** ასე გამოეხმაურა: „ის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელიც ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. მასთან კონტრაქტის გაფორმებას დიდხანს ველოდით, მაგრამ ასაკის გამო აქამდე ვერ ვახერხებდით. ჭანტურია ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია, ის ნამდვილი ტალანტია“.

გვჯერა, ჩვენებური ჰოლანდიაშიც ისეთივე მონდომებით გააგრძელებს ვარჯიშს, როგორც ამას ესპანეთში აკეთებდა და უახლოეს წლებში ეროვნულ ნაკრებს დიდ სამსახურს გაუწევს.

ახალგაზრდა ძიუდოისტების წარმატება

შარშანდელის მსგავსად, ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა წლეულსაც დიდი წარმატებით იჭიდავეს ბერძნულ მუდანიაში ჩატარებულ „ილიადისის თასზე“. მათი ბერძნული მონაგარი 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაოა. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი მესაბლიშვილი** (55), **შალვა ნინიძე** (81), **გიორგი მერმანიშვილი** (90) და **ლევან მატიაშვილი** (+100), ვერცხლი **ლაშა შავდათუაშვილმა** (66) მოიპოვა, მესამე საპრიზო ადგილზე კი გავიდნენ: **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ოთარ არჩუაძე** (66), **გიორგი ცნობილაძე**, **ელგუჯა ბიბილაშვილი** (ორივე - 100) და **უშანგი კოკაური** (+100). ეს ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება, მწვრთნელები საამისოდ არჩევენ კადრებს. შარშანდელის შემდეგ ამ ნაკრებმა სერიოზული საკადრო დანაკლისი განიცადა, რადგან ამ ასაკში გამოსვლა დაამთავრეს და უფროსებში გადავიდნენ გუნდის ლიდერები – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **გიორგი შინჯიკაშვილი** (90), აგრეთვე, გუნდის კიდევ რამდენიმე წევრი, მაგრამ მისასალმებელია, რომ თაობათა ცვლის პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს და ახალი წევრებიც კარგ შედეგებს აჩვენებენ. თან ამ ახლებიდან ბევრი ჯერ ისევ ჭაბუკთა ნაკრების წევრია ან ახალი გადმოსულია. ისიც სათქმელია, ამ მედალოსანთაგან უმრავლესობამ საბერძნეთში წასვლამდე შიდა ტურნირებზეც წარმატებით იჭიდავა.

რუბრიკას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

შემდეგი ტომის ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 30 აპრილამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22,
ა/აGE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

შეიძინეთ ახალი ხელმოწერები

„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K